

კარი იგი ყარსიდამ ჯარით და მოვიდა შამხიანს, რომელსაცა მიაგება მეფემან ვახტა-
ნგ ძეცა თვისი ბაქარ, და წარმოემართა სარასკარი იგი იქიდამ და დაიბანაკა ყურყეთს.-
ჰსცნა რა ესე მაჰხმად-ყული-ხან, და გასინჯაცა, რ~ლ არა ჰქონდა პირდა პირი ძალი
შესაბმელად მისსა, ამისთვის მიაგება დარბაისელნი და მიაართვაცა კლიტენი ციხე ქალა-
ქისანი მვედრებელმან, რ~ა მოსცეს ქართლი და დაუმატკიცოს მეფობა; ხ~ მან სარას
კარმან არა ინება, და შეიპყრა იგი თხოვისამებრ მეფის ძის ბაქარისა და პატიმარ ჰყო
იგი, და ამასვე წელსა ივნისის თვეში, სარასკარი იგი შემოვიდა ტფილისში, და მოსცეს
მეფობა მას ბაქარს ძესა მეფის ვახტანგისასა, და ვინაფთვან, არა ნებისაებრ თვისისა ამეფეს იგი, ამისთვის მასვე წელსა განივლტო იგი ოსმალთაგან და მივიდა
მამისა თვისისად.
ჩელსა ჩღკდ. მეფე ვახტანგ და ძე მისი ბაქარ წარვიდნენ რუსეთს. წელსა ჩღკე. ძმა მეფის ვახტანგისა მეფე იესე გათათრდა, რ~ლსაცა კ~დ მისცეს ოსმალთა
მეფობა ქართლისა; გარნა არცა იგი ამეფეს ნებისამებრ, და მოკვდა მეფე იესე წელსა
ჩღლგ.- ამავე ჩღლგ წელსა კახთ მეფეს მაჰხმად-ყული-ხანს, უღალატეს ოსმალთა
და მოკლეს სამზირალში, და მრავალნი კახეთისა თავადნი და გლეხნი მოსწყვიდნენ მისთანა;
გარნა კახეთი ნებისა მებრ თვისისა ვერა დაიპყრეს, რომლისათვისაც მოინდვეს ძმა ამა.
კახეთის მეფის მამად-ყული-ხანსა თეიმურაზ. და მისცეს მეფობა კახეთისა ზაკვით;
ვინაფთვან ნებავდათ და პყრობაც კახეთისა, ვ~ა მსგავსად ქართლისა.-
ჩელსა ჩღლდ. უსუფ-ფაშა მოვიდა ქიზიყს დიდის ჯარით. და დადგა მაღაროს, რ~ა ნებისა ებრ თვისისა დაიპყრას კახეთი; ხ~ ჰსცნა რა მზაკვარება მისი მეფემან თეიმუ-
რაზ. შემოიკრიბნა კახნი, მოვიდა ღამე და დაესხა თავსა; და გაემარჯვა მათ ზედა. და მრავალნი
1-25 სტრ., 3
ოსმალნი მოსწყვიდნეს, და წარმოვიდა მუნით უსუფ-ფაშა ლტოლვილი, და მიერიდგან ვერღარა
იკადრეს ოსმალთა შემოსვლა კახეთად.- ამასვე ჟამსა მოსრულ იყო თამაზ-ხან (რ~ლსა ეწოდა
შ~დ ნადირ-შაჰა) განჯას; და რა ესმათ ესე ქართველთა უკუდგნენ ოსმალთაგან ქართველ-

კახნი, და განჯას თამაზ-ხანს მიერთვნენ; და რა იხილეს ოსმალთა უკუდგომა
 ქართველთა,
 ამის გამო გაიერთნეს ლეკნი და მოიყვანეს ლეკის ჯარები და აოხრებდნენ
 ქართლსა და კახეთსა,
 და სომხითს-საბარათიანოსა, და ასრე აღაოხრეს, რ~ლ არღარა იპოებოდა შენობა
 მათ შინა,
 თვინიერ ციხეთა და სიმაგრეთა კიდე, და კახეთიდანაც გალევდნენ ქიზიყელნი
 და გაღმა
 მხრელნი და მისცეს პირი ლეკთა; ა~დ თავადნი და აზნაურნი დადგნენ
 მტკიცედ და შიგნით
 კახნიცა სარწმუნოებასა ზედა, და განამაგრეს თელავი და ალავერდი და
 შეკრბნენ მას
 შინა, და ვიეთნიმე თავადნი და აზნაურნი შეეხვეწნენ ფშავ-ხევსურთა და
 შეეფარნენ მათ;
 ხ~ ლეკთა შეაწუხეს ქიზიყი და გაღმა მხარი, რომლისამე გამო ვერღარა შეუძლეს
 გაძლება,
 და უღალატეს მუნ მყოფთა ლეკთა, და მრავალნი ლეკნი მოსწყვიდნეს, და
 მიყვანეს მეფე
 თეიმურაზ ფშავიდან და დასვეს მეფედ.–
ჩელსა ჩლლე მოვიდნენ ლეკნი და ქიზიყი მოარბივეს, მას დროსა ძე მეფისა
 თეიმურაზისა ირა-
 კლი იყო წლისა თუთხმეტისა, რ~ლმანცა შემოიყარა სოფლებიდან ჯარი, მოუწია
 მათ ლეკთა
 წეიმნის მინდორში, და თუმცა ძლიერად შემოებნენ მას ლეკნი; გარნა თვით
 მეფის ძე ესე ირაკლი
 მეორედ შევიდა ჯარში შიგან გულდაგულ და პ~დ მან მოკლა ლეკი და ამის
 მხილ~ქველთა კახთა,
 ერთ პირად მიმართეს და დაამარცხეს ლეკის ჯარი იგი, გააყრევინეს ტყვეები
 იგი და საქონელი
 და მოვიდნენ მადაროს გამარჯვებულნი, რომლისათვისაც ფ~დ მხიარულ იქმნენ
 კახნი, იხილეს რა
 სიმჴნე და ძალი მეფისა ძისა მემკვიდრისა თვისისა.– ამასვე ჩლლე წელსა, ნადირ
 შაჰმან
 დემურტაშზედ სარასკარი დაამარცხა, მაისის ით- ხ~ ივნისის იწ. ტფილისში
 მყოფთ
 ოსმალთ ნადირ-შაჰას წიგნი მოუვიდათ, რომელიც სწერდა, რ~ლ მე
 სარასკარზედ გავიმარ-
 ჯვე და თქვენ რას აპირებთო.– ივლისის ლ. დღეს ოთხშაბათსა, ოსმალნი
 თბილისი-
 დამ გავიდნენ, და ოკდომბრის ვ. ნადირ-შაჰა ტფილისს შემოვიდა, კე~ს
 ტფილისიდან-
 გავიდა და კახეთი მისცა თეიმურაზს მეფესა, და მეფობა ქართლისა ძმისწულსა
 მის თეიმურაზი-
 სასა აღიხანს, რ~ლიც თანაც წაიყვანა, ხ~ ტფილისს მის მაგიერად დასვა სხვა
 ერთი ხან ყიზილ-

ბაშისა.

1-27 სტრ., 4

ქელსა ჩლვ. ნადირ შაჰს სეფიხან სარდალი გამოეგზავნა ქართლში, ამან მოუწოდა მეფესა

თეიმურაზს კახეთიდამ და ქართველნიცა შეკრიბნა ქართლს ფხვენისის სოფელში, სადაცა უღალატეს

მეფესა თეიმურაზს და დაიჭირეს ყიზილ ბაშთა, და მასთანავე დაიჭირეს გივი ამილახვარი, არა-

გვის ერისთავი ბარამ და თარხანი ლუარსაბ., და ესრეთვე კახნიცა დაიჭირეს: ჩოლოყაშვილი

სალთხუცესი გივი, ქიზიყის მოურავი ქაიხოსრო და წაიყვანეს ყოველნივე ესე სპარსეთში, და

ისპაანს, რომ მიიყვანეს იქ პყრობილებისაგან განათავისუფლა და პატივით შეიწყნარა

ნადირ შაჰმან; გარნა ამ ჟამად ნადირშაჰ ყანდაარს წაბრძანდა, და მეფე თეიმურაზც

თან წაიყვანა, და ვინც ქართველნი და კახნი თან ახლდნენ ისინიც თან იახლნა ყანდა-

არს და ოდეს მიიწივნეს ყანდაარად; მაშინ მეფესა თეიმურაზს გამოუცხადეს შენი შვილი

ირაკლი დაიბარე, და ის რომ ჩამოვა მაშინ თქვენვე დაგიტხოვთო; ვინაფთგან ნადირ შაჰა-

ხედვიდა მხნედ, ამისთვის თვით ნადირშაჰმან მოსწერა წიგნი დაბარებისა ირაკლისა და დაიბარა ქართველნი და კახნი, და მსმენელთა ამისთა ქართველ კახთა ერთ პირო

ბით არა ინებეს წარსვლა ირაკლის სპარსეთად, რომლისათვისაც შეიყარნენ ქართველნი

და კახნი და არა უშვებდნენ ძესა მეფის თეიმურაზისასა ირაკლის; გარმა მან არა მიხედა

პატივსა და დიდებასა ამის სოფლისასა, ა~დ სათნოეყო ბრძანებასა მამისასა, და დიდად

შორს დაიჭირა წაუსვლელობა თვისი; მთქმელმან: მამა ჩემი იქ უნდა ჰყვანდესთ, ჩემის იქ

ჩასვლით გამოუშვებდნენ, და მე ამაზედ დავბრკოლდ, და არა წარვიდე, ესე ჩემგან არ იქნებაო.-

ქელსა ჩლზ. ირაკლი წარვიდა ფეხერვალში, ნადირ შაჰსთან და ყანდაარს ჩავიდა, ნადირ-

შაჰს ყანდაარი მარტის ივ~ს აელო, და ოდეს მოვიდა ირაკლი მაშინვე წინაშე ნადირ შაჰისა წარა-

დგინეს; და ნადირშაჰამ ლაპარაკი დაუწყო ირაკლის და ჰკითხა ბრძანების გვარად საშიშა-

რის სახით არ გასთათრდებიო; ხ~ მან ვითარცა მოწამემან აღიარა მძლავრისა წინაშე,

ქი~ე, და მოახსენა წელიწდითა და დღითა ყმაწვილმან, ხ~ გონიერებითა ბრძენმან.“ ჩემი სიკვდი-

ლივე შეგიძლიან, და ესევე არ შეგიძლიან, რომ ქრისტე მაგმობინო, არას
მიზეზით ჩემი
თათრობა არ იქნებაო.“ შ~დ ნადირშაჰმან უბრძანა ნუ გეშინიან, მე შენ მაგაზედ
ძალს
არ დაგატანო, მეორეს დღეს მეფე თეიმურაზ, ქართველნი და კახნი მიაყვანიან
ყველანი
დაითხოვნა და საქართველოში გამოისტუმრნა, და თვით ნადირშაჰმ
ინდოეთზედ გაილა
შერა, და ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლიც თან წაიყვანა, ჩავიდა ინდოეთს,
იქაური,
1-27 სტრ., 5
ველმწიფე ახმად-შაჰა შემოება სამასის ათასის კაცითა; გარნა ნადირშაჰა
გაემარჯვა და მრ
თელი ინდოეთის სამეფო დაიპყრა, იქიდანამ გამობრუნდა და სინდეთს შევიდა
და სინდეთის სამეფო
დაიჭირა, გარნა სინდეთში დიდი ომები გარდაიხადა და ყ~თა მათ ბრძოლათა
და ომობასა შ~ა
თანკლებით დასწრებულ-იყო ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი ნადირ შაჰსთან,
რომელმანცა
დიდად მოაწონა თავი თვისი სიმხნითა და სიკასკასითა და დიდათაც
შეუყვარდა ნადირშჰს
ძე მეფისა ირაკლი და აქედამ გამობრძანდა და მოვიდა ყანდაარს ნადირ შაჰა.
ჩელსა ჩლთ. ნადირ შაჰა ყანდაარს მობრძანდა: და ვინაფთგან მადრიელ იყო
იგი მეფის
მის ირაკლისა, რადგანაც აჩვენა სიმხნე და ერთგულება, ამისთვის უბრძანა
ნადირ შაჰამ.
მეფის ძეს ირაკლის, შენს ყვეყანას ეჭირვები, და ნება მომიცია წადი შენს
ქვეყანაში, და მა
რადის წყალობის მოიმედე იყო მადლობა მოახსენა მაისის იწ. ყანდაარი
დამ კწ-ს წამოვიდა და სეკდემბრის იგ. ღამის ოთხი საათი იყო, რომ კახეთს
ალავერდს
მობრძანდა. ამჟამად ნადირშაჰა თურქისტანზედ წაბრძანდა, ბალხი ბუხარ,
ორგან-
ჯი, სამარყანდი და მრთელი ქურთისტანის სამეფო სრულებით დაიჭირა და იქ
რამდე
ნიმე ხანი დაუგვიანდა, იქიდანამ გამობრუნდა ნადირშაჰა დაღისტანში მოვიდა
ძლიერის
ჯარით და შემჭირვა ლეკნი დაღისტნელნი ძლიერითა ბრძოლითა; და ეგრეთვე
ქართველნი
სურსათისა თხოვნითა; რომლისათვის განდგნენ ნადირშაჰასაგან ვიეთნიმე
ქართველნი და
მოიყვანეს ლეკისად და ოსმალეთის ჯარები და აოხრებდენ და ატყვევებდნენ
ერთმანერთსა, ვინად-
გან ვერღარა შეუძლეს პირისპირ სამსახური ნადირ შაჰსა, და თბილისს მჯდომი

ხანი ნადირშჳსასი ებრძოდა მარადის ქართველთა და აოხრებდნენ მარადის
ორნივე მხა-
რენი ქართლსა; და ესე ყოველივე აცნობა თბილისს მჯდომმან ხანმან ნადირ-
შჳს; ხ~ იგი განძვინდა საქართველოსა ზედა, და განიგულა აყრა და მოწყვეტა
ქართველ
კახეთის ხალხისა. ჰსცნა რა ესე მეფემან თეიმურაზ წარავლინა დედოფალი
თამარ ასული მეფის ვახტანგისა ვედრებად ნადირ შასთან, რათა არა აღწყვეტოს
ქარ-
თლისა და კახეთის ხალხი, და დასცხრეს განრისხება მისი ქრისტიანეთა ზედან,
ხ~ მოვიდა
რა დედოფალი თამარ დაღისტანში ნადირ შაჰსთან ევედრა მას აუყრელობასა
ქართლ კა
ხეთისასა და ეგრეთვე აცნობა უცოდველობა ქრმისა თვისისა მეფის
თეიმურაზისა და ერთ-
გულობა ძისა თვისისა ერეკლესი რ~ლისათვის მყისთანად მოღმობიერდა
მძლავრი იგი.
1-26 სტრ., 6
და პატივ სცა დედებრ, და ყოველი თხოვილი აღუსრულა და გამოუტევა ნიჭითა
დიდი
თა და მოვიდა კახეთს და მოუწერა ნადირ შაჰამ თბილისს მჯდომსა ხანსა
ბრძოლად უკუ-
მდგართა ქართველთა ზედა და აოხრება მათი, მივიდა ეს თბილისს მჯდომი
ხანი
ყიზილ ბაშის ჯარით შემოადგა აწერის ხევსა შემუსრეს აწერის ხევი და
გამოიყვანეს ქს-
ნის ერთვის შანშეს ცოლშვილი და ძმებისა მისისა, ხ~ შანშე ივლტოდა
ახალციხეს, გარნა
სთხოვეს იგი ყიზილ ბაშთა და მოსცეს ოსმალთა შანშე დაჭერილი და შეიპყრეს
ძმაცა
შანშესი იესე და წარგზავნეს ცოლ შვილითა ხორასანს და დაიპყრა ქსნის ხევი და
მამული
შანშესი გივმან ამილახვარმან, და ამ ჟამადვე მოკლეს არაგვის ერისთავი ბეჟან
ყმათა
თვისთა და გამოაძეს სახლის კაცნიცა მისნი, და დაიწყო გივმან ამილახვარმან
და-
პყრობაცა არაგვისა საერისთოსა; მოიცა ძალი ოსმალთაგან და განდგა
ყიზილბაშთაგან,
და ესე ყოველი აცნობა თბილისს მჯდომმან ხანმან ნადირ შაჰას, და გამოუცხადა
ერთგულება მეფესა თეიმურაზისა და ძისა მისისა ირაკლისა, და ნადირ შაჰამ
უბოძა არა-
გვის საერისთაო მეფესა თეიმურაზს, და მოუმცნო ბრძოლა და კირთება გივის
ამილა-
ხვარისა, ხ~ გივს აქვდა გამაგრებულნი ქსნის ხევისა და ჰყვანდა ბიძა-
შვილი თვისი რევაზ, ეზრახნენ მეფენი ამა რევაზსა და აღუთქვეს წყალობად,
უკეთუ მოსცემდა ციხესა; მოსცნა რევაზმან ციხენი ქსნის ხევისანი, და დაიპ-

ყრეს ქსანიცა მეფემ თეიმურაზ და ირაკლიმ, და მრავალი ბრძოლა და ომები გარდაიხადეს და ვიეთთამე ქართველთა თავადთა მიუწოდეს ძესა მეფის თეიმურაზი-

სასა ირაკლის და წარვიდა ირაკლი სამასის კახელის კაცითა და წარიყვანა სამასი ლეკიცა და შემოეყარნენ რაოდენნიმე ქართველნი თავადნი ირაკლის ძესა მეფისასა

მივდნენ და დადგნენ ქცხინვალს ზემოთ [ჟ] აბოწმიდისა, ჰსცნა რა ესე გივმან ამილახვარმან სურამს მდგომმან შემოიყარა ოსმალისა და ლეკის ჯარნი ვიდრე ხუთი ათასადმდე, და ვიეთნიმე ქართველნიცა შეეწოდნენ გივსა ამილახვარსა, მოვიდნენ ღამესა და დილასა ბინდსა დაესხნენ ძესა მეფისასა ირაკლის, ეკვეთა ირა-

კლი ძლიერად და ფიცხელი ომი მოუხდათ, გარნა მოსცა ღ~თნ ძლევა ირაკლის ძესა მეფისასა და გაემარჯვა ლტოლვილნი იგი ოსმალ ლეკნი წარვიდეს გივითურთ სურამისა

1-26 სტრ., 7

კენ; ხ~ მეფის ძე ირაკლი წაბრძანდა კახეთად, და მეფე თეიმურაზ მიბრძანდა ზემო ქართლში და ერედვს

დადგა. ამ ჟამად ძველი ყაენის შვილი ლტოლვილი იყო ნადირ შაჰსაგან დაღისტანში იმყოფებოდა,

ამას დაღისტნელი ლეკები გამოუმძღვარეს, და ხონთქართან გაისტუმრეს, წამოიყვანეს, და ქსანზედ

გივი ამილახვარი ეგულებოდათ და იქ მივიდნენ, ჰსცნა რა ესე მეფის ძემ ირაკლიმ კახეთს მყოფმა

ფიცხლად გამოუდგა, მოეწია ქსანზედ ყანჩაეთს და იგი ყაენის შვილი დაიჭირა წაი-

ყვანა და ერედვს თავის მამას მეფეს თეიმურაზს მიართვა; მეფემან თეიმურაზ მაშინვე

თავის შვილი ნადირშაჰსთან გაისტუმრა; და იგი ყაენის შვილიც თან გაატანა. ამ ჟამად

ნადირ-შაჰა. ოსმალთ მუსულს ბრძოდა, და რომ შირვანში უკუდგა, ყაენის შვილი მიიყვანეს და დაღისტანიც ითანკმეს და გაახელმწიფესო; ამისთვის თავისი შვი-

ლი წასრული მირზა გამოისტუმრა დიდის ჯარით, რ~ლიც მტკვრის პირზედ, რომ მოვიდა,

შირვანში გასასვლელად, ამ ჟამად მეფის ძე ირაკლიც მიადგა და ყაენის შვილი დაჭერი

ლი მიართვა, რ~ლმანც ფრიადი მადლობა უბრძანა, და ესე ყოველივე მისწერა მამასა-

თვისსა წასრულა მირზამ, და ვიდრე მისვლადმდე ამისა ნადირ შაჰა მუსულიდამ-

წარმოსრულ-იყო და ეს ამბავი გზაზედ მიუვიდა; რ~ლმანცა დიდად დაუმაძღლა და მოს-

წერა წიგნი მადლობისა მეფესა თეიმურაზს და მოუბოძა ათი ათასი ოქრო, და მოუმცნო

თბილისს მჯდომს ხანს ყილიჩ ალიხანს მეფის თეიმურაზისათვის იხტიარობა მომი
ცია და ყოველს საქმეს მაგას უნდა ჰკითხევდეთო, თვითონ ნადირ შაჰა იქიდგან გაბრუნდა
და ყარსის ციხეს შემოადგა; ხ~ ნასრულა მირზამ მოსცა მრავალი ნიჭი მეფის ძეს ირაკლის და გამოისტუმრა დარწმუნებულის სიტყვით შენ წადი, რადგანაც ახლა
შენ ქვეყანას ეჭირვებო იქ მიეშველე და ამის მაგიერს წყალობას მოელოდეო.-
ქელსა ჩღმბ. წარმოავლინა ხონთქარმან უსუფ ფაშა სპითა დიდითა და წარმოატანა
ხაზინა, რ~ა წარგზავნოს იგი დაღისტანსა შ~ა, და მით გამოიყვანოს დაღისტნის ჯარი,
და ამათ მოეხმაროს ამილახვარი გივი, და უსუფ ფაშა რუისს დადგენენ მუნ. ხ~
ესე
სცნა რა თბილისს მჯდომმან ხანმამ ალიხან აცნობა მეფესა თეიმურაზს და იგი წარმოვიდა სწრაფად კახეთის ჯარით და მოვიდა ალიხანთან, და ხანმაც შემოიყარნა ქართველნი მივიდნენ და დადგენენ გორს, მოვიდნენ ოსმალნი თედო წმინდას, და ესენიცა განვიდნენ
1-27 სტრ., 8
გორიდან საომრად ყიზილბაშ ქართველნი ეკვეთნენ ძლიერად, გარნა იძლივნენ ოსმალთა-
გან ყიზილბაშ ქართველნი, რომელნიც გამოაქცივეს და მოჰყვნენ გორის გალავნის კარებამ-
დისინ, გაბრუნდნენ ოსმალნი, და დადგენენ რუისადვე, მაშინ მოიყვანეს დაღისტნის ბელადი მა-
ლაჩი და მიაბარეს დაღისტანში გასაგზავნი ხაზინა, და ეს მალაჩი იყო დაღისტანში პირველი
რჩეული ბელადი და ყოველნი დაღისტნელნი მისდა მორჩილ იყვნენ. ესე წარუძღვანეს ორი ათა-
სის ლეკით და წარატანეს ორი ათასი ოსმალნი და გაისტუმრეს დაღისტანში. ესე ამბავი მოუ
წერა თბილისში მჯდომმან ხანმან ირაკლის ძესა მეფისასა და აცნობა ყოველივე ყოფილი,
მაშინვე წარმოემართა სწრაფად ირაკლი და შემოიკრიბნა რაოდენნიმე სპანი კახეთიდან და
ორასნი ყიზილბაშნიცა მოერთვნენ თბილისიდან, და ამა შეკრებულის ჯარებითა შეუ-
კრა არაგვის პირი, და მოვიდნენ რა დილას ოსმალ-ლეკნი და დაიწყეს გამოსვლად არაგვსა შინა,
მაშინ ეკვეთა ირაკლი ძე მეფისა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და შეკრეს სანგარი ლეკთა დასავლით
არაგვის პირსა და დაიწყეს მუნითგან ძლიერად თოფთა ცემა; და დარჩა ძე მეფისა ირაკლი არა-

გვს გამოდმა აღმოსავლეთით კერძო, რ~ლ არაგვის მდინარე მას დროსა
 გადიდებულ-იყო
 და უფროდ არა გაისვლებოდა, და განგრძელდა თოფთა ცემა იმიერ და ამიერ;
 მაშინ შეუხდა
 ძე მეფისა ირაკლი არაგვის და პ~ლ ყოველთასა თვით განვლო ფონი იგი; ხ~
 მხილველთა სპათა
 არა რიდეს მას საშინელსა წყალსა და გაჰყვნენ ყოველნი სპანი თვისნი. და იქმნა
 ბრძოლა ძლი-
 ერი: ვინადთგან ოსმალ – ლეკნი უმეტესობდნენ და გამნელებულსა ომსა ამას შ~ა
 პ~დ მიუბოძა თვით ირაკლი მეფის ძე და დაღისტნის პ~ლი ბელადი მალაჩი
 თვით ამან მოკ
 ლა, და სიკვდილისა მისისაგამო იძლივნენ ოსმალ ლეკნი და მიჰყვნენ ესენიცა
 ვიდრე ქსანს
 გაღმა ოკამადმდე და მრავალი მოკლეს და დაიჭირეს, და მივიდნენ ეს ლეკნი და
 ოსმალნი დამა-
 რცხებულნი რუისს უსუფ ფაშასთან; გარნა ფრიად შეშინებისაგამო მასვე ღამესა
 აიყარა
 უსუფ ფაშა ვ~ა მეოტი, და მეფე თეიმურაზ ყიზილ-ბაშნი გამოუდგნენ ოსმალთა;
 გარნა ვერღარა ეწივნენ; და ესე ყოველივე ყოფილი და ქმნილი ირაკლისაგან
 მიუწერა ხან
 მან თბილისში მყოფმან ნადირ-შაჰს და მან დიდად დაუმაძღა და მხიარულ-
 იქმნა და
 წარმოუვლინა ცხენი ოქროს აღკაზმულებითა და კმალი მძიმედ მოჭედილი და
 უბოძა ქართ-
 ლის მეფობა მეფეს თეიმურაზს და კახეთის მეფობა ძესა მისსა ირაკლის წელსა
 ჩღმდ~სა. – .
 1-26 სტრ., 9
 Ⴢმასვე ჩღმდ- წელსა ნადირ შაჰა ყარსიდგან გამობრუნდა, სცნა რა ესე მეფემან
 თეიმუ
 რაზ წინ მიეგება აბოცს რ~ლ არს ყაიყული იქილამ მობრძანდა ბორჩალოს.
 დებედის პირზედ
 გოგთაფას და დადგა და რამდენსამე დღესა იქ იდგა; ხ~ აქა მობრძანდა
 დედოფალიცა თამარ.
 და კახეთით ირაკლი, რ~ლ თაცა დიდად პატივ ჰსცა და უმეტესის პატივით
 მიიღო, და ამ ჟამსა
 ევედრნენ. მეფენი თეიმურაზ და ირაკლი და დედოფალი თამარ, და სთხოვეს
 განთავისუფლება
 ერისთავის შანშესი, ძმის წულთა მისთა, და სახლეულთა მათთა და მოანიჭაცა
 მათ, და მიუწერა
 წიგნიცა ხორასნის ხანთან განთავისუფლებისათვის მათისა. და გამოტევებისა,
 ნადირშაჰ-
 ცა გაბრუნდა ყაზახზედ და განჯაზედ ჩაიარა. მულამოს ჩაბრძანდა. იქ
 რამდენსამე
 ხანს დადგა და მოვიდა შანშეცა ხორასნიდამ. სახლეულით თვისით, და მეფემან
 თეიმურაზ

და მეფემან ირაკლიმ ოსმალთაგან წართმეული მამული მათი, და ერისთაობა ქსნისა

მიუზბოძეს კვალადვე შანშეს.

ქელსა ჩღმე სა გივმან ამილახვარმან სურამის ციხე გაამაგრა ძალითა ოსმალთათა, შევი-

და დადგა მუნ, მივიდნენ მეფენი თეიმურაზ და ირაკლი ბრძანებითა ნადირშაჰისათა

და ერთი ყიზილ-ბაშის ხანიცა, ჯარებითა რომელსაც შემოადგნენ და რამდენსამე თთვეს უკან

გამოიყავნეს ციხიდან გივი ამილახვარი დაჭრილი და ნადირშაჰსთან გაგზავნეს.

–

ქელსა ჩღმზ. ნადირ შაჰა განრისხდა ყოველთა თვისთა ზა და საქართველოსაცა არბაზი შემოა-

წერა ვა სხვა ქვეყნებსა და ამასვე წელსა მოკლეს ნადირშაჰა ყიზილ ბაშთა და მმისწული მისი

ადილ შაჰა გაახელმწიფეს ამან მოუწერა მეფესა თეიმურაზს, და მეფემან თეიმურაზ ქართლი

მიაზარა ძესა თვისსა ირაკლის, გარნა და ვედრა საქმისა კითხვა იესე მეფის ძის აბდულა ბეგის

ცა, ად აბდულა ბეგმან გარდაბირნა რაოდენნიმე ქართველნი სომხით საზარათიანოდამ.

და სხვანიცა და უკუუდგა ირაკლი მეფესა; მოიყვანა ყიზილ ბაშის ხანი სააბ იხტარ

ჯარებით ამას მოჰყვინენ განჯა ყარაბაღის ხანები და დაღისტნის ხანი აზატ-ხან და სა-

ქართველოს ელები: შამშადილი, ყაზახი, ბორჩალო, დემურჩასალი, ბაიდარი და სხვანი

ყნი ხურდა ოიმაღლები და მოვიდნენ თბილისის სიახლოვეს, მხილველი ამისი მეფე ირაკლი

განვიდა ურიდად მცირის ჯარითა ეკვეთა ძლიერად, მოსცა ღთნ მეფესა ირკლის და გაემარჯვა,

წავიდა აბდულა-ბეგ ლტოლვილი და შევიდა ციხესა სამშვილიდსასა და გაამაგრა იგი.

1-28 სტრ., 10

ქელსა ჩრმჭ აბდულა ბეგმან გარდაბირნა ქალაქისა ციხის მცველნი მეციხოანენი და უკუუდგნენ ირაკლი მეფესა, და უცნობელად საქმისა დაიწყეს ციხიდან თოფთა და ზარ

ბაზანთა სროლა თბილისის ქალაქსა შინა, ხ მოადგა მეფე ირაკლი ქართლისა და კახეთის

ჯარებითა და უმეტეს თბილისის მოქალაქენი ბრძოდენ ციხესა და მტკიცედ სდგეს სარწ-

მუნოებასა ზედა და ერთგულებასა მეფისა ირაკლისასა, და აბდულა ბეგმაც შემოაშველა

ციხეში ხუთასი ლეკი და იყო დღე ყოველი ბრძოლა. ამ ჟამზედ მოვიდა დაღისტნის

ბელადი ყოჯახ დიდის ჯარით და ავჭალები მოარბივა ტვე და საქონელი წაიღო,
 რა
 ესე ჰსცნა მეფემან ირაკლიმ, რაც ჯარები ჰყვანდა თბილისის ციხის
 საბრძოლველი
 დაუტევა, და თვითონ ორასის კაცით სატიოზედ მტკავრი გასცურა და ყოჯახ
 ბელადს
 გამოუდგა და მდევრულად ქიმიყის ჯარიც შემოიყარა ნაპირის სოფლებიდან
 გარდაასწრო
 ქიზიყის ბოლოს შირაქში შეება ყოჯახს და ფიცხელი ომი მოუხდათ, მოსცა ღ~თნ
 მეფე-
 სა ირაკლის და გაემარჯვა, მრავალი ლეკი მოკლეს ტყვე და საქონელი სულ
 დააყრევინეს
 გამობრუნდა მეფე ირაკლი და იქავ შირაქის თავში დედოფლის წყაროზედ
 მობრძანდა
 და იქ დადგა და ეს ყოჯახს გარდარჩომილის ჯარით წავიდა, და ამათ სხვა
 დაღისტნის
 ჯარი შემოეყარათ ახალი მომავალი, ამ დამარცხებულთა ყოველივე თავისი
 თავს გარდასა
 ვალი უანბეს და იმ ახალმა ჯარმა უთხრა ყოჯახ ბელადს თუ იმ თქვენს
 ნაშოვარს
 საქონელსა და ტყვეში წილს დაგვიდებთ დღეს ისინი ვერსად გაგვასწრებენ,
 ჩვენც გიშვე-
 ლით მოვეწევით და ისევ გავაყრევინებთო, - რა ესე ყოჯახს უთხრეს ესენი
 ფრიად გამ-
 ხიარულდნენ შეითქვენენ, იმ ღამეს იარეს, მეორე დილა რომ გათენდა
 დედოფლის
 წყაროზედ მოვიდნენ და მეფეს ირაკლის თავს დაესხნენ; გარნა ძლიერი იგი მჯნე
 ირაკლი
 უწინარეს ყოველთა შევიდა ცხენზედ და თვით პ~დ ესროლა თოფი და
 ყველაზედ უწინ მოკლა ლეკი
 და უბრძანა ჯართა მხნედ შევებათ ვითარცა უმეტეს პირველისა. ეკვეთნენ
 დაამარცხეს
 ლეკთა ჯარი, მრავალნი ლეკნი მოსწყვიტნეს- წამობრძანდა იქიდან თბილისის
 ციხე აიღო
 თავისი მეციხოვნეები დააყენა წაბრძანდა და სამშვილდის ციხეც აიღო, და
 მობრძანდა გამა-
 რჯვებული თბილისად.
ჩელსა ჩდ მთ. მეფე თეიმურაზ ერანიდამ მობრძანდა; ერენში იბრეიმ შაჰი
 მოკლეს
 და სრულიად ერანი აირივა და ერთმანეთს რბევა და ტყვევნა და აოხრება
 დაუწყეს. ამ ჯამად
 მაჰმად ხან ვინმე ადრიბეყანის მხარეს გაძლიერებული მრავალს ქვეყნებს
 აოხრებდა, რომლისა
 1-30 სტრ., 11

თვისაც მოსწერეს ერევნელებმა მეფესა თეიმურაზს და მეფეს ირაკლის, ერანში
მეპატრონე აღარ არის და ეს
შაჰ მად ხან ამ ქვეყანას აოხრებს, მოგვეშველენით ამას მოგვარჩინეთ და თქვენ
გემსახურებითო.
ამაზედ ორნივე მეფენი თეიმურაზ და ირაკლიწაბრძანდნენ ერევნის
მისაშველებლად, ხ~ მეფე ირაკლი წინ
წავიდა ხუთასის კაცით, და ეს რომ მაჰმად ხანმა შეიტყო თავისის სრულის
ჯარით წინ მოეგება, და მეფეს
ირაკლის შემოება, მოსცა ღ~თნ ძლევა და გამარჯვება მეფესა ირაკლის, გაიქცა
მაჰმად ხან და ყარაბა
ღში წავიდა ხორ გვირაბის ციხე გამაგრებული ჰქონდა მაჰმად ხანს და თავისი
ცოლ შვილი იმაში
ჰყვანდა. მივიდა მეფე ირაკლი შემოადგა, იგი ციხეც აიღო და მამად ხანის ცოლ
შვილიც გამოი
ყვანა, და რადცა აქუნდა სიმდიდრე ხაზინისა ყოველივე მეფეს ირაკლის დარჩა:
და წამოიღო, მობრძანდა
ერევანს, და მოვიდნენ ერევნელები მეფეს თეიმურაზთან და მეფეს ირაკლისთან,
და თვით ერევნის
ხანიცა მოვიდა, მოსცეს თავი მოსამსახურედ და დაიდევს ხარკი, დასვეს თავისი
კაცი ერევანში
და გამობრუნდნენ მეფენი, ხ~ სანამდინ აქედამ მეფენი გამობრუნდებოდნენ,
ყარაბაღის ხანი
ფანა, განჯისა შავერდი ხან და ნუხის ხანი აჯი ჩალაბი შეკრბენ განჯაყარაბაღის
და შაქ-
შირვანის ჯარებით და მოვიდნენ ყაზახში აღს ტაფაზედ, და ამ ჟამადვე
მეფენიცა ერევნიდამ
ყაზახში გამობრძანდნენ; გარნა ამ შეკრებულმა ხანებმა ომი ველარ გაუბედეს,
მორიგეს
და სიმაგრეში დადგნენ, და დაუწყეს მეფეს თეიმურაზს და მეფეს ირაკლის
ლაპარაკი მშვიდობის
და ზავ ჰყვეს ურთიერთისადმი და გაბრუნდნენ; ხ~ მეფენი მობრძანდნენ
თბილისს
გამარჯვებულნი და მიერ დღიდგან იყო ერევანი მოხარკეობასა ქვეშე ამა
მეფეთასა, ვიდრე მოს-
ვლამდე საქართველოსა შინა ყაჯარის ამად ხანისა, გარნა ვერცა მან მოშალა
სრულიად ერევნის სამ სახური საქართველოში.
ქელსა ჩღნ, მოვიდა ყარაბაღის ხანი ფანა, განჯას შემოადგა მოსწერეს განჯის
ხანმა და განჯე
ლებმადა ითხოვეს შეწევნა მეფის თეიმურაზისა და მეფის ირაკლისაგან,
ამისთვის ამა მეფეთა შემოიკრი
ბეს ჯარები და წარემართნენ ესენი, რომ ყაზახში ჩავიდნენ და ფანა ხანმან ამათი
მიმავლობა
შეიტყო განჯას შემოეცალა და თავისავე ქვეყანას ყარაბაღში წავიდა გარნა
ჯარები გაიმ-

რავლა. ეს მეფენი, რომ განჯას ჩაბრძანდნენ განჯის ხანი შავერდი ხან თავისის
 ჯარით
 მეფეებს შემოეყარა და წარვიდნენ ყარაბაღში და ფანა ხანიც დიდის ჯარებით
 წინ მოეგება საბ-
 რძოლველად და ერთმანეთზედ მოშორვებით დადგნენ; ხ~ მეფე ირაკლი ორასის
 კაცით
 ჯარების დასახედავით წავიდა იმათაც შეიტყვეს და მართლად ერთიანად
 ჯარებმა შე
 მოუტივეს, მეფემან ირაკლიმ ამბის საც ნობელად ერთი კაცი გაგზავნა მეფეს
 თეი-
 მურაზთან და ეს ამბავი აცნობა და თვით მეფე ირაკლი ამ ცოტას ჯარით
 საბრძოლველად
 დაუდგა ვ~ პირდაპირ, ესრეთ გამბედავი არა რიდებდა ომსა და შეექმნათ ომი
 და გაგრძელდა
 1-28 სტრ., 12
 ბრძოლა; მეფე თეიმურაზც ჯარებით მოეშველა, [~] გარნა უწინარესვე გაემარჯვა
 და სანამ
 მეფე თეიმურაზ მობრძანდებოდა მოსცა ძლევა ლ~ თნ მეფეს ირაკლის და
 დაამარცხა იგი მძლა-
 ვრი ჯარი და ამ გაქცულთა ჯართა მოსწვდნენ მდევრულად მეფის თეიმურაზის
 ჯარნიცა
 და მრავალნი მოჰკლნეს და დაიჭირეს, მეორეს დღეს ორნივე მეფენი ყარაბაღის
 მოსარბევლად
 გაემზადნენ წაბრძანდნენ და არეზს გამოლმა მრთელი ყარაბაღის მამული
 დაარბივეს და მრ-
 ვალი იშოვნეს და დაჰყვეს მუნ თვე ორი და მოინდვეს მრთელნი ყარაბაღელნი
 და დასდვეს
 ხარჯი განჯა ყარაბაღის და მისცეს ამისი პირობა სადაცა ჯარი გინდოდესთ
 ჯარიც მოგცეთო,
 წამობრძანდნენ და მოვიდნენ თბილისს გამარჯვებულნი, ხ~ ამასვე წელსა
 შეკრბნენ დაღის-
 ტნელნი მოვიდნენ მოპარვის გვარად ვითარცა არს მარადის ჩვეულება მათი
 დაარბივეს
 ელები და მრავალი იშოვეს ტყვე და საქონელი, ჰსცნეს რა ესე მეფეთა
 გამოუდგნენ მოეწივნენ
 დამღისს სადაცა ერთვის იორის მდინარე ალაზნის მდინარეს იმ ალაზნის
 პირზედ შეიბ-
 ნენ მოსცა ძლევა ლ~ თნ მეფეთა გაემარჯვათ და მრავალი კაცი მოკლეს და
 უმრავლესნი
 ალაზნისაგან მოიშთვნენ ლეკნი, და გარდარჩომილნი, რ~ ლნიც გაღმა გავიდნენ,
 არცა იგინი
 განათავისუფლნეს გაჰყვნენ გაღმა და შეშინებულთა მათ გარდანარჩომთა
 ლეკთა
 მიმართეს ერთსა დამწვარსა ფლატიანსა გორებსა სიმაგრის იმედულოთა
 შევიდნენ ამ გო

რებში მოსქდა ეს ფლატიანი დამწვარი გორა და ასრე დაინთქენ ეს
 გარდანარჩომნი
 ლეკის ჯარნიცა რომ მოამბეც აღარავინ წასულა, წამოვიდნენ მეფენი
 გამარჯვებუნი
 და მოვიდნენ თბილისს და მიერიდგან ვერლარა იკადრეს ლეკთა ჯარად
 გამოსვლა; გარნა ქურ-
 დულად არ დასცხრებოდენ ავაზაკობიდამ.
ქელსა ჩლნბ. ქს უ მ [-] წაბრძანდნენ ორნივე მეფენი ჭარსა და შაქი შირვანის
 დასაპყრო
 ბად ჯარები შემოიყარეს იორზედ, ჩავიდნენ იქ მოერთვნენ განჯა ყარაბაღის
 ხანები ჯარე
 ბით, წავიდნენ ჯარი დააგდეს, და ჭარს ქვეით აგრისზედ გავიდნენ მოვიდა
 ნუხის ხანი აჯი
 ჩალაბი შემოიყარნა ჭარელნი და დაუდგნენ პირდაპირ, ეზრახა აჯი ჩალაბი
 იდუმალ მეფეთა
 თანა მყოფთა განჯისა და სხვათა ხანებთა და გრადაიბირა ეს ხანები, მეორეს
 დღეს შემოება
 აჯი ჩალაბი მეფეთაც დასტები დააწყეს და მიმართეს ძლიერად და ორი სამი
 დასტა დაამა-
 რცხეს აჯი ჩალაბის ქართველთა და კახთა და ორი ძლიერი სანგარი
 დააგდებინეს, მაშინ ნაჯი
 ჩალაბი მოუხდა, ყიზილ ბაშთ ხანების დასტასა და განზრახვითა ურთიერთისა
 უწინარეს
 სვე მისვლისა გამოიქცნენ ეს ხანები თავიანთ პირობისაებრ და წარვიდნენ
 თვისსა მხარესა
 1-28 სტრ., 13
 მშვიდობიანად რა ესენი გაქცეული ნახა საქართველოს ჯარმა ესენიც აირივნენ
 და ურეგულო-
 მან ჯარმან ვერლარა შეიძლო დადგომა. და გამოიქცნენ, მეფენი სიმხნითა
 თვისითა მრავალს ეცა-
 დნენ; გარნა ვერლარა შეიმაგრეს ჯარი, და მიზეზითა ამით მრავალნი მოსწყდნენ
 ქართველ კახნი
 და უმრავლესნი ალაზანთა შინა მოიშთვნენ და მოვიდნენ ორნივე მეფენი
 თბილისს დამარცხებ-
 ულნი, ხ~ ესე იქმნა თთვესა ფებერვალსა და ამასვე წელსა ივნისის თვეში
 მოვიდა ძალითა
 აზატ ხან და დაუწყო ერევანს რბევა და აოხრება: ვინათგან აზატ ხანსა ეპყრა
 მიდია რ~ლ
 არს ადრი ბეჟანი, და იწოდებოდაცა მპყრობელად სპარსეთისად, ხ~ ამისთვის
 მოუწერეს
 ერევნელთა მეფესა ირაკლის: ვინათგან გამლევთ ხარკსა და ვართ
 მორჩილებასა ქვეშე თქვე-
 ნსა გაქუსცა ვალი და თანამდებობა, რ~ა განგვათავისუფლო ესე ვითარის
 მძლავრის

ხელისაგან და სთხოვეს მიშველება, რომლისათვისაც ინება მეფემან ირაკლიმ მიშველება-
ერევნისა. შემოჰყარა ჯარები ივნისის თვეში და მიეშველა ერევანს, გარნა ოდეს ჰსცნა
მუსა ხანმა, რომელიც ადგა ერევნის ციხესა მისვლა ირაკლი მეფისა მასვე წამსა შემოე
ცალა მუსახან ციხესა და მირიდა, ხ~ მეფე ირაკლი მივიდა ერევანს და დიდად შეჭირვე
ბულნი უსაზრდელობითა ერევნელნი აავსო სურსათითა მიუტანა მრავალი საზრდო,
თვითონ გამობრუნდა ქანაქირსა და ყარს ბულაღზედ კარგს ავაში დადგა მახლობლად
ერევნისა, რ~ ლ იც შორავს ერევანს ვიდრე თორმეტს ვერსტამდე ვითარცა აღაჯი ერთი, თუმცა
ესე მუსახან ერევანს შემოეცალა; გარნა დაუყოვნებლივ მისწერა წიგნი აზატ ხანს და
აცნობა მყოფსა მიდიასა შინა მოსვ[ლ]ა ერევანს ირაკლი მეფისა და ყოველივე ქმნილი
მეფისა ირაკლისაგან; ხ~ ჰსცნა რა ესე განძვინებულმან აზატ ხანმან, შემოიკრიბნა
ჯარები ყიზილ ბაშისა და ავღანისა ვიდრე ორმოცს ათასამდე, ესრეთ, რ~ ლ თორმეტი ათასი
მხოლოდ შუბიანი კაცი ჰყვანდა თოფიანს ჯარს გარდაისად და ჰქონდა თორმეტი ზარ-
ბაზანი და ორასი ზამბურაკი, რომელიც უგრძნეულად მოვიდა და გარნი ჩაი ზედ ჩამოხდა, რო
მელიც ეს გარნი ჩაი შორავს ქანაქირს ოციტა ვერსითა; სალამოზედ კაცი მოუვიდა მეფესა
ირაკლის აზატ ხან დიდის ჯარით მოვიდა და გარნი ჩაიზედ ჩამოხდაო, მოუწოდა მეფემან ქარ
თველთა და კახთა და რჩევა შეექნათ და კახთა გამობრუნება ამჯობინეს უფროსი ერთთა; გარნა მეფემან ირაკლიმ არა ინება და ბრძანა, იცოდეთ ძე
აზატხანის
შეუბმელი არ დავედგებო, ამაღამ, რომ გავიქცეთ ხვალდილაზედ მოგვეწვეიან, და უნამუ-
სოდ სიკვდილს ნამუსიანად სიკვდილი სჯობსო, ეს ყველამ იცით, რომ სიკვდილის
1-28 სტრ., 14
შვილნი ვართ, და ჩვენს გვარსა და სახელსა ორის დღის სიცოცხლისათვის ნუ მოვაყივებთო,
და ამაზედ რავდენნიმე თავადნი პირველნი და ჩინებულნი გვამნი ეთანხმნენ მეფესა ირა-
კლის და დაამტკიცეს ომი პირდაპირ მძლავრისა, რომლისათვის აღრიცხა მეფემან მხედრობა

თვისი, რომელიც იყო რიცხვით სამნი ათასი, და ამ რიცხვსა შინა იყო თათარი
 სამასი და ავათ
 მყოფიცა ხუთასი, ხ~ ესე ხუთასნი ავად მყოფნი და ბარგის კაცნიცა დაშთნენ
 ლაგირ
 თა შინა და წირვიდა მეფე ორის ათასის კაცითა აზატხანს შესაბმელად, და ცოტა
 რომ-
 წავლეს იქიდანამც გამოჩნდა აზატ ხანის ჯარები და დასტები, მაშინ გარდახდა
 მეფე ირა-
 კლი და დაემხო მიწასა და ღმერთს შეევედრა, გამობრუნდა და უთხრა
 მხედრობათა ჩემნო
 ძმანო და შვილნო! თქვენ ჩემის გამლიერიებისათვის და ჩემის გულისათვის
 იხოცებით
 და ღ~ თთან თქვენ დიდი მოვალე ვარო, და დღეს მე რაც გითხრათ ის
 დამიჯერეთო, და
 სისხლსა თქვენსა მე ვინდობი; მაშინ ყოველთავე მხედრობათა ერთობით ნება
 სცეს
 და მოახსენეს მეფეო და დიდებო ჩვენო! სისხლი ჩვენი თქვენთვის
 შემოგვიწირავს და
 ბრძანებასა თქვენსა ვმორჩილებთ და ყო ველსავე ბრძანებულსა თქვენსა
 აღვასრულე
 ბოო. რადგანაც ესოდენი ერთგულება და სიმხნე მხედრობათა თვისთა იხილა,
 მაშინ უბ-
 რძანა სანამდისინ მე ცხენზედ არ შევჯდე თქვენც ნურავინ ცხენზედ ნუ
 შესჯდებითო,
 სანამდისინ ჩემი თოფი არ გავარდეს, მანამდისინ თოფს ნურავინ ესვრითო,
 მაშინ ქართველ-
 თა და კახთა ერთობით აღუთქვეს ბრძანებულისა მის აღსრულება, ხ~ ხუთასნი
 იგი
 თანა მყოფნი თათარნი ირაკლი მეფისანი შესხდნენ ცხენთა და განემორნენ
 ქართველთა
 ჯარსა და გავიდნენ ცალს მხარეს, და გაკეთდნენ ერთს დასტად, გარნა დაადგრა
 ერთი
 ერევნელი თათარი აირუმლუს სულტანი მეფეს ირაკლისთან სახელით
 ალავერდი.
 და მხილველმან მეფემან თვისის ჯარის სიმცირისაგან ფ~ დ მხურვალედ
 თაყუანის ცა
 ჯჳარსა ქრისტესსა ცრემლით და ყოველნივე სპანი თვისნი ათაყუანნა ჯუარსა,
 და მაშინ
 მოვიდა თათარიცა იგი ალავერდი სულტანი და რქვა ჯვარსა ქრისტესსა
 მეტყველმან ესრეთ,
 უკეთუ შეძლება რამე არს დღეს გამოჩნდებო და დაადგრა მეფესა ირაკლის
 თანა, მაშინ
 წარუძღვა მეფე ირაკლი ათას ხუთასსა კაცსა დაქვეითებულსა წყნარად, და
 სადაც უფრო

დიდი დასტა იყო აზატ-ხანისა იმას მიმართა, მოვიდა განრისხებული აზატ ხან და თვისი
ჯარები გარს შემოიხვია და ოთხსავ კუთხეს ესოდენ ახლოს მოიწივნენ, რომ შუბი აღარ
გაიმართებოდა, და ლამოდნენ იგინი ერთობლივ ცოცხლივ დაპყრობასა ქართველთასა, მაშინ
10-28 სტრ., 15
მოახსენა ერთმან ხანმან ვინმე აზატ ხანს დასტური მიბოძე რათა წარვიდე და მეფე ირაკლი
ცოცხლივ შეპყრობილი მოგართვაო, მანცა ნება ჰსცა და დია სისწრაფით ცხენ მალობით მოვიდა,
რომელსაც საბრძოლველად ჰქონდა შუბი ხელთა და ჯმა ჰყო ამყმან: „ჰნი ირაკლი ხან,,
რლ არს ქართულად: სადა არს ირაკლი მეფეო; მაშინ გაუხდა ირაკლი მეფე მკვირცხლად და შეს
მახა მე ვარ ირაკლი მეფეო, და შემახებასათანავე მისცა თოფსა ცეცხლი და გავარდა თოფი მეფისა
და მოხვდა მას ხანსა გულსა და გარადამოვარდა ცხენით და დაეცა წინა მეფისა ირაკლისა, და
ოდეს იხილეს ესე ვითარი სიმხნე მეფისა ქართველთა და კახთა განძლიერდნენ ესენიცა
და ერთობით მისცეს ცეცხლი თოფთა თვისთა ყოველთავე და რაც მახლობლად მოსულნი ყიზილ-
ბაშნი და ავღანნი იყვნენ ერთიანად ჩამოცვივდნენ და დაეცნენ მიწასა ზედა; მაშინ აღ-
ჯდა ირაკლი ცხენსა თვისსა და აღუმახნა სპათაცა თვისთა აღმხედრება და აღმხედრნენ სპა-
ნი დაიკრეს ხმლებსა ხელი და ერთობით შეუტივეს და მყის თანა მისლვასავე აოტნეს ყიზილ-
ლბაშ ავღანნი და მას დღესა თანა ჰყვებოდა აირუმლუს სულტანი ალავერდი სულტანი ალავერდი, რომელმან-
ცა ითხოვა სასწაული ჯვარისაგან და იყო მხნეცა, ხ~ აზატან ხან ლტოლვილი და სირცხვი-
ლეული წარვიდა და ამა გამარჯვებასა შინა დარჩა მეფესა ირაკლის თორმეტი ზარბაზანი,
ორასი ზამბურაკი თავისის აქლემებით, დროშა მრავალნი და ორი ათას ხუთასი კარავი და ტყვისა-
და საქონლის რიცხვი არ ეგებოდა, და იგი ალავერდი სულტანი დიდად განკვირვებული
იტყოდა წინაშე ჯჳარისა ეს საქმე კაცობრივსა ძალისაგან შეუძლებელი იყო, მაგრამ
ამ ჯჳარის ძალმან ჰყო და ესრეთ სთქვა. „ხაჩ სანა ყურბანოლიმ. „ რ~ლ არს ჯვარო
შენთვის მსხვეპლად შევიწიროო, თუმცა ესოდენ ირწმუნა და სთქვა, გარნა არა ნა-

თელს ილო წარმოვიდნენ და მოვიდნენ თბილისს გამარჯვებულნი, ხ~ ესე ძლევა იქმნა

ივლისის თვეში. -

წელსა ჩღნგ. ქკ~ს ჴმა.თვესა იანვარსა მოსწერეს წიგნები განჯის ხანმა, შუშის ხანმა და ყა

რაბალის ხანმა მეფეთა თეიმურაზს და ირაკლის, რომელნიც მიიწვიეს და აღუთქვეს და სთხოვეს

რათა ინებონ ამა მეფეთა და ნებონ მოსვლა ნუხის ხანს აჯი ჩალაბზედ და ესენიცა იახლონ

შემწედ თავიანთის ჯარებითა; ამისთვის ინებეს მეფეთაცა წაბრძანება; ჯარები შემოიყარეს წაბრ

ძანდნენ მეფენი და განჯას ჩაბრძანდნენ, იქ ზემო ხსენებულნი ხანები

შემოიყარნენ ჯარებითა

და შემოჰვიცეს ერთგულებასა ზედა; გარნა არა დადგნენ ფიცსა ზედა. სძლივა ჩვეულებემან

სიმუხთლისაგან ვითარცა ჰქმნეს ჭარისა ომსა ზედა, აგრეთცა აქედამ იდუმალ და უწყეს

1-27 სტრ., 16

წიგნების წერა ნუხის ხანს აჯი ჩალაბს და დაიბარეს შენ გამოდი შენის

ჯაერებით, როდესაც

შენ გამოხვალ შიგ უღალატებთო, ეს ამბავი მეფეებმა შეიტყვეს და იმათგან მიწერილი

წიგნებიც ხელთ ჩაიყარეს, და ვინათგან ერწმუნებოდნენ მეფენი მათგან ამ გვარსა დრკუება

სა, ვითარცა არა აქუნდათ ჰქმმარიტებით ერთგულება, ამისთვის განიზრახეს მიგება მაგიე-

რისა და ზემო ხსენებული იგი ხანები ერთობით დაიჭირეს, და ამ ხანების დაჭერაზედ

ამათი ჯარებიც აირივა და თვით მეფეთაც თავიანთი ჯარებიც დაუწყობელი ჰყვანდათ,

ამა შემთხვევასა შინა მოვიდა უკუჴ ნუხის ხანი აჯი ჯალაბი, და დაღისტნის ჯარები.

და ესრეთ არეულთა ჯართა შემოება; იქმნა უბედურება დამარცხდნენ მეფენი და მრავალნი

მოისრნენ ქართველ კახნი ბრძოლასა შინა და უმრავლესნი შამაშადინელთა გასწყვიტეს,

ხ~ მეფენი მოვიდნენ თბილისს ლტოლვილნი თვესა მარტსა, და ამავე წელსა მაისის თვეში

შემოიყარა ჯარები აჯი ჩალაბის შვილმა ალაქაშიმ, გამოვიდა განჯას შაქი შირვანის

ჯარით და აქ შემოეყარნენ ყარაბაღის ხანი და განჯის ხანი ჯარებით, მოვიდნენ ყაზახ-

ბორჩალუ აჰყარეს და თვითონ ბორჩალოში დადგნენ უშიშრად, რადგანაც ქართველნი

და კახნი ახალნი დამარცხებულნი იყვნენ და დასუსტებული მეფე ირაკლი
წაბრძანდა
არაგვის ხევსა იქიდამ ჩერქეზნი და ოსნი ჯარად გამოიყვანა ეს მთის კაცნიცა
წამოიყვანა
სანამდინ მეფე ირაკლი იქიდამ გადმობრძანდებოდა; მანამდინ დალისტნის
ბელადმა
ზუბეიდალამ დალისტნის ბელადები და დალისტნის ჯარები შემოიყარა მოვიდა
ქართლში და
საქართველოს რბევა დაუწყო და ვანის გალავანს შემოადგა და აღილო შიგან
მყოფნი
მრავალნი სულნი დაატყვევნა აქედამ წავიდა თიღვას და შემოადგა; და ამ ჟამად
მეფე ირა-
კლი ხევიდამ გადმობრძანდა ჩერქეზის ჯარითა. ეს ამბავი დუშეთს შეიტყო ამ
ჩერქეზის ჯარს
წაუძღვა ჯიმშერ ერისთავი და გივი ამილახვარი, და იმ ლეკის ჯარზედ
გაისტუმრა თიღვას მოსა
შველებლად და თვით მეფე ირაკლი კახეთს წაბრძანდა ჯარების გამოსაყვანად,
ლეკი თიღ-
ვა ველარ აიღეს, გამობრუნდნენ პატარა ლიახვს გამოლმა კარბის სოფლად, რომ
მოაწი-
ვეს, იმ დროს იქ ჯიმშერ ერისთავი და გივი ამილახვარი შემოეყარნენ ჩერქეზის
ჯარითა შემოუტი-
ვეს და ლეკის ჯარი დაამარცხეს მრავალი მოკლეს ლეკი, წამოვიდნენ და ქალაქს
მეფე თეიმურაზთან
ჩამოვიდნენ და მეფე ირაკლიც კახეთის ჯარით ჩამოვიდა და ორნივე მეფენი
ქართლ კახეთისა,
და ჩერქეზის ჯარით თბილისიდამ გავიდნენ, ესე რომ სოღალნუხს ჩავიდნენ
ბაიდრიდამ
1-27 სტრ., 17
აჯი ჩალაბის შვილი აღაქიში და სხვა ხანები ვინც იყვნენ აიყარნენ და უკან
გაბრუნდნენ და ყა
ზახში მივიდნენ, ეს მეფენი გატეხილს ხიდზე მივიდნენ, იგი ხანები გემი
ყაიზედ იდგნენ
და იქიდამაც აიყარნენ და გაქცეულივით: საჩქაროდ წავიდნენ და შამშადილში
თოუზზედ მოვიდნენ
და იქ ორ დასტად გაიყვნენ და დაემალნენ ქართველთა და კხათა; გარნა იმათი
ესრედ საჩქაროდ
წარსვლა, რომ იხილეს ამათაც დასტები მოშალეს და ჩაფრულებრ ცხენ ჭენებით
გამოუდგნენ
მეფე ირაკლი. ამათ წინ ჩაფრულად იმყოფებოდა, მეფე თეიმურაზ დასტა
დაწყობილი
წყნარად მოდიოდა. როდესაც თოუზზედ ქართველთ ჯარი თავწვრილად
მისულინახეს, ისინი
დასტა დაწყობილნი მოზირად უდგნენ, და რა ამათი ესრეთ თავწვრილად
მისვლა იხილეს

ფიცხლად შემოუტივეს და მრავალი კაცი მოკლეს, ამაზედ მოასწრო მეფემან ირაკლიმ და დიდი გრძელი ომი შეექნათ მოსცა ლ~თნ ძლევა მეფესა ირაკლის და გაემარჯვა, და მრავალი კაცი მოკლეს და მრავალი ცოცხალი დაიჭირეს ოცდა ათი ათასი ვერსი მეტი სდივეს ვიდრე სამის საათის სავალადმდე მიჰყვნენ, გამობრუნდნენ გამარჯვებულნი და მოვიდნენ თბილისს. ამავე წელსა ჩღნგ. ქ~კს ჴმა. ასტყდნენ დაღისტნელნი ჰრბევად ქართლისა ორასობითა და სამასო ბითა დავიდოდნენ მრავლად მრავალთა ადგილთა და დიდად შეამჭირვეს ქართლი, და მეფე ირაკლი მრავალს ადგილს დახვდა და დაამარცხნა ლეკნი; გარნა არა დასცხრნენ ლეკნი რბევად ქართლ კახეთისა სიმრავლისაგამო მათისა განგრძელდა მათგან რბევა ქართლკახეთისა– ყოველსა დროსა. -

წელსა ჩღნდ ქ~კს ჴმბ~ს ავარიის ხანმან ხუნძახის ბატონმან ომარ ხან შემოიყარა ჯარები და გამოვიდა უგრძნეულად შიგნით კახეთში შემოიარა იქიდან და მოვიდა არაგვზედ, დუშეთს შემოადგა, რ~ლ არს ციხე კობია და აღილო იგი, და იქიდან წამოვიდა მჭადის ჯვარს შემოადგა ამ საქმის მცნობელი მეფე ირაკლი კახეთის ჯარით მოეშველა და არაგვზედ დუშეთში მოვიდა მეფე თეიმურაზცა ქართლიდამ მობრძანდა ჯარით და ორნივე ესე მეფენი დუშეთს შეიყარნენ და მეორე დღეს მივიდნენ და მჭადის ჯვარს მდგომს ომარ ხანს, ჭილურტის მხრიდამ შემოებნენ, მოსცა ლ~თნ ძლევა და გაემარჯვათ მეფეთა და მრავალი ლეკი მოკლეს და წარვიდა ხუნძახის ბატონი ლტოლვილი დაღისტანში, და მოვიდნენ მეფენი თბილისს გამარჯვებულნი, გარნა არა დასცხრნენ ლეკნი ქურდულად რბევად ქართლისა და კახეთისა და კვალადცა შეკრბნენ დაღისტნელნი მივიდნენ და ქართლში 1-26 სტრ., 18

დირბის ცხეს შემოადგნენ, იქაც შემოადგნენ მეფენი დაამარცხეს ლეკის ჯარი მრავალი მოსწყვიტეს და ციხე იგი განარინეს აღებისაგან.

წელსა ჩღნე. ქ~კს ჴმგ. კვალად შემოიკრიბნა ავარიის ხანმან ხუნძახის ბატონმან ომარ-ხან დაღისტნის ჯარები ჩამოვიდა და მოადგა ყვარლის სოფელს ამას მოერთვნენ ჭარელნი და შაქ შირვანელნი, ვითარცა არს ჩვეულება მათი დინთახლიბისა ქრისტიანეთა ზ~ა მოვიდნენ

და მოადგნენ ციხესა ყვარელისასა; ვიდრე ოცი ათასადმდე და ოცდა რვა დღე ადგნენ და შეამჭირ

ვეს ყვარლის ციხე, გარნა გამოერჩინენ ქართველ კახნი მხნენი ვიდრე ორასადმდე და შე

სწირეს სისხლი თვისის მსხვერპლად ქრისტიანობასა და ერთგულობისათვის მეფეთასა ბრძანე

ბითა მეფეთათა შეეშველნენ ციხესა ყვარელისასა და შეუტანეს ტყვია წამალიცა, მეფე

თეიმურაზ დადგა თელავს და მეფე ირაკლი ქიზიყს წაბრძანდა და იქ შეიკრიბნა მხედრო

ბანი გაესია ჭარში და მოარბიეს ყოვლითურთ ჭარი, ხ~ ამისნი მსმენელთა და მცნობელნი ჭარელნი აღირივნენ და გაეცალნენ ყვარელიდამ. და იმათ მიჰყვნენ შაქი

შირვანელნიცა და მეფენიცა წარვიდნენ ყვარელის მხრისაკენ. ჰსცნა რა ესე ავარიის ხანმან, აიყარა და წარვიდა ვ~ა მეოტ.

ჩელსა ჩღნქვ~სა ქკს ჴმდ. დაიწყეს ეგრეთვე რბევა და აოხრება ქართლისა დაღისტნე

ლებმა. ქურდულად ჯარებმა ვიდრე ასადმდე და ორასადმდე განმრავლებით მრავალ

თა ადგილთა ცალ ცალკე სიარული შექმნეს, და ამით დიდად შეამჭირვეს ქართლი.

გარნა არცა მეფე ირაკლი დასცხრა დევნითა მათითა, რ~ლნცა მრავალ ჯერ ჰსდევნა და

დაამარცხნა იგინი, და ესრეთითა შრომითა აქუნდა ცხოვრება და სიმხნითა თვისითა

მეფობა; რ~ლ ისა რიცხვი არა იქმნების, თუ რაოდენ ჯერ გაემარჯვნა; ამ წვრილად

მოსარულეთა ლეკებთა ზედა. მეფესა ირაკლის; გარნა მაინც მცა რა არა დასცხრენ

ავაზაკობისაგან:

ამასვე ჩღნვ. წელსა ქ~კს ჴმდ. საქართველოს თათრის ელები ჩვეულებისამებრ მთაზედ წავიდნენ და იქიდან გაიქცნენ და ერევნის მამულში ჩავიდნენ, მცნობელი ამისი

მეფე ირაკლი ზემო ქართლში წაბრძანდა იქ იდუმალ ჯარები შემოიყარა აგვისტოს

თვეში თრიალეთი გარდავლო, ჩავიდა ერევნის მამულში სეკდემბრის თვეში არეზის პირზედ

1-27 სტრ., 19

ყარასუ ეწოდება იქ მოეწია. და საქართველოს ელები სულ ერთად დააბრუნა და მოიყვანა

და ოკდომბრის თვეში თავ თავისს ადგილს დააყენა.

ჩელსა ჩღნზ. ქ~კს ჴმე. მეფე თეიმურაზ და მეფე ირაკლი ზემო ქართლში ბრძანდებოდენ და წერი-

ლს ლეკის ჯარებს ჰსდევნიდნენ ორგან და სამგან დაამარცხეს, მივიდნენ და ქცხინვალს დადგნენ

სუბათ თავის ამალით, და სხვა დაბარებული ჯარები კი არა ჰყვანდათ. ამ ჟამად დალისტნის ბელადი ჩონჩორ მუსა; პატარა ისა და იტინა მოვიდნენ ქცხინვალს დალისტნის ჯარით და ოთხის ათასის კაცითა პირდაპირ სროლა დაუწყეს, და ვინადგან არა ჰყვანდათ ჯარები ამისთვის ვერ იკადრეს რაზმით ომი მიხდორთა ზა, და ამის გამო სიმაგრით ბრძოლა უყვეს მლიერად, გარნა მასვე ღამესა აიყარა დალისტნის ჯარი, და წავიდნენ ალსა, და აიღეს ალის ციხე და დაატყვევეს მრავალნი სულნი.

ჩელსა ჩლნთ. ქკსა ჟმზ-ს გამოვიდეს კდ დალისტნის ბელადნი კოხტა და ჩონჩორ-მუსა დალისტნის ჯარებით, რლ ნითა ჰყვათ ვიდრე რვა ათასამდე, ესენი გაიყუნენ. ჩონჩორ მუსა მოვიდა აჩაბეთს აჩაბეთი აიღო და მრავალნი სულნი დაატყვევნა, შევლო ლიახვზედ სამაჩაბლოს ოსები დაარბივა, წავიდა იმერეთს კუდაროც მოარბივა, გამობრუნდა მოვიდა და ავნევის სოფელს შემოადგა, კოხტა ბელადი მივიდა და ატოცის ციხეს შემოადგა, მაშინ მივიდნენ ორნივე მეფენი თეიმურაზ და ირაკლი ქართლის და კახეთის ჯარებითა ყორნისსა და მეფე იმერეთისა სოლომონცა შემწე ექმნა ამა მეფეთა და მოვდა ვარგის ჯარით, და სამთავე მამა მეფეთა, შეექმნათ რჩევა თუ რლს მიეშველნენ ავნევსა ანუ ატოცსა და უმჯობესად განიგულეს მიშველება ატოცისა, მივიდნენ სწრაფად და დილასა ადრე თავს დაესხნენ ლეკის ჯარს ატოცს და აოტეს, კოხტა ბელადი და ლეკის ჯარნი მრავალნი მოსწყვიდნეს, და სამთავე ამა მეფეებისა სპათა სიმხნე და სიმარჯვე ყთა კაცთაგან მოსაწონ იყო, სდევნეს და ლტოლვილნი იგი ლეკნი მივიდნენ ავნევს, ჩონჩორ მუსასთან, და აცნობეს ყოველივე ესე ქმნილი მარცხი, ამა საქმეზედ აიყარა ჩონჩოლკ მუსა შემოეცა ლა ავნევს, მოვიდა და დვანს სიმაგრეში დადგა ჯარით მასვე დღეს მოვიდნენ სამნივე მეფენი, ავნევის მოსაშველებლად, გარნა არღარა ადგნენ ლეკნი ავნევს. ჰსცნეს რა მეფეთა დვანს დადგომა ლეკის ჯარისა მოვიდნენ ეს მეფენიცა და პირდაპირ დაუდგნენ; გარნა ველარა იკადრეს ლეკთა გამოსვლა საომრად დასტით, ად მცირედთა კაცთაგან მოხდა თოფთა

1-25 სტრ., 20

თოფთა ცემაჲ, სილამემან უსწრათ და არღარა მოხდა ომი და დადგნენ მეფენი მას ღამესა ახ-

ლოდ ლეკის ჯარისა ხვალისა თვის ომისა იმედუღნი მას ღამესა აიყარა ჩონჩორ

მუსა და გაიპარა ჯარით; მეორეს დილას ჰსცნეს მეფეთა გაპარვა ლეკის ჯარისა გამოუდგნენ, მაგრამ ვერღარა ეწივნენ

ჩელსა ჩღ დ. ქ კს ჴმჴ წავიდა მეფე თეიმურაზ როსისასა შინა იმპერატრიცა ელისაბედთან სავედრებლად, ამავე ჩღ დ წელსა ზანდი ქარიმხან განძლიერდა ყაჯარი მამად ხან დაამარცხა და ომში მოკლა, ავღანი აზატ ხან გამოაქცია თავის ქვეყანისაკენ ველარ წავიდა და ადრი ბეჟანისაკენ წამოვიდა ჯარით და ბევრი ავი საქმე ჰქმნა ავაზაკებრ, და მოუწერა ქარიმ ხან მეფეს ირაკლის ძმობით და სიყვარუ-

ლით წიგნი. „აზატ ხან ადრი ბეჟანის მხრისაკენ წამოვიდა ქვეყნებს არბევს და აოხრებს და უკეთუ მანდეთ გამოსჩნდეს სადმე დაიჭირე გამომიგზავნე და ერანზედ

დიდი ვალდებულება იქმნება. „ ამ ქჴამად აზატხანმაც იმ ადგილებში ველარ მოიცადა და დაღისტნისაკენ წამოვიდა. ჰსცნა რა ესე მეფემ ირაკლიმ გარდაასწრო

ყაზახში და თავის ჯარებით სულ ერთიანად დაიჭრა აზატხან ქარიმხანს გაუგზავნა და მისნი ჯარნი ყველანი განათავისუფლნა და თავის ქვეყანაში გაისტუმრა,

ეს საქმე ქარიმ ხანმა დიდად დაუმაძღა მრავალი ფემქაშები გამოუგზავნა და და-

უმტკიცა ერევანი და მოუწერა ხანსა ერევნისასა, რადცა ხარკი სახელმწიფო გედვას

ყოველივე მეფეს ირაკლის უნდა მიეცემოდესო და ემორჩილებოდეო ვითარცა არს

წესი მორჩილებისა, და მოსწერა სხვათა ყოველთავე ხანებთაცა ადრიბეჟანისათა მორჩილება მეფის ირაკლისა.

შასვე ჩღ დ წელსა ქკს ჴ ბ ჴ ლეკებმა ჯავახეთი დაარბივეს და მრავალი ქრისტიანე დაატყვევეს დახუდა მეფე ირაკლი ყარა იაზედ ეს ლეკის ჯარნი დაამარცხა მრავალი

ლეკი მოკლეს და ტყვე და საქონელი სულ დააყრევინა და მისცა ნება და სულ თავთავის

ქვეყნებთა გაისტუმრა ; ეს გამარჯვება იყო ივნისის დ-ს.

ჩელსა ჩღდა. ქ კს ჴმთ. წამოვიდა დაღისტნის ჯარი საქართველოს ასაოხრებლად 1-25 სტრ., 21

ჰსცნა რა ესე მეფემ ირაკლიმ, ჯარის შეყრა ველარ მოასწრო და თავის ამალით წავიდა

სულ-ყულიანში და იქ დაეძალა, რ-ლ არს ნათლის მცემლის უდაბნოს მხრისაკენ და თვით

მეფე ირაკლი-ყარაულად წავიდა, და რა ნახა რომ ჯარი ლეკისა ორისა და სამის ზომით

ამის ჯარზედ უმეტესობდენ, ამისთვის მობრძანდა და ასეთს ადგილს დაახვედრა, და ესრეთ შეაძგერა ეს თავისი ამაღა, რომ მისვლასავე თანა გაიმარჯვეს და აოტეს ლეკნი, და მრავალნი კაცნი მოჰკლეს.

ქელსა ჩდ მბ. ქ კს უ ნ. შიგნით კახეთს ახმეტას სოფელს ლეკის ჯარი მივიდა, ამას მყის

თანად შეუხდა ირაკლი მეფე შეეხა და დაამარცხა მრავალი ლეკი მოკლეს და წავიდნენ დაშთომილნი სირცვილეულნი.

ქელსა ჩდ მგ. ქ კს უნა. მოვიდა სამაჩაბლოში კეხვს ლეკის ჯარი მისაწრო ირაკლი მე

ფემ გაემარჯვა და მრავალი ლეკი მოკლეს.

ქელსა ჩდ მდ ქ კს უნბ. მრავალწყაროზედ დახვდა მეფე ირაკლი ლეკის ჯარსა, გაიმარ

ჯვა და მრავალი ლეკი მოჰკლეს

ქელსა ჩდ მდ: [ქ კს უნგ] სა ლეკის ჯარმა გორი დაარბიეს და ტყვეები წაიყვანეს დახვდა მეფე ირაკლი სამგორის მინდორში ღამე ეს ლეკის ჯარიც გასწყვიტეს და ტყვეებიც

გააყრევინეს.

ქელსა ჩდ მზ- ქ კს უნე სა ერევნის ქურთები გარდაუდგნენ და აღარ მოსცეს ხარკი

მეფეს ირაკლის და წავიდა ირაკლი ივნისის თვეშია იმათაც შეიტყვეს მეფის მომავლობა.

გაიქცნენ და არეზის მდინარეს გავიდნენ არა რარატის მთას იქით, რომ მივიდნენ მუნით

მეფემ ირაკლიმ დაარბია ქურთები, და მრავალი იშოვეს ესრეთ უმეტესი მოსაცემელისა

ხარჯია კიდევ ათ ზომადმდე და მოვიდა თბილისს.

რმასვე წელსა დაღისტნის ჯარი გარდავიდა იმერეთს რაჭის სოფლები მოარბივა სამა-

სამდისით ქრისტიანე ტყვე იშოვნეს და წამოვიდნენ, ჰსცნა ესე მეფემან ირაკლიმ შემოიყარა

ჯარები მივიდა და იორის წყალს დადგა და ყარაულნი განუწყენსა საცნობელად მათისა

მომავლობისა, მივიდნენ ლეკნი საქონლითა და ტყვითა, შეეხა მეფე ირაკლი და დაამარცხა

1-26 სტრ., 22

ტყვე და საქონელი სულ დააყრევინა, და ის ლეკნი ასრე გაწყვიტნა, რომ დაღისტანში

იმათი მუანზე ერთი აღარ მისულა.

ქელსა ჩდ მთ. ქ კს უნზ საკვალად გადგნენ ერევნის ქურთები და აღარ მოსცეს ხარკი, წარვიდა ეგრეთვე ჯარით მეფე ირაკლი მოეწია არეზის გაღმა დაარბივა და მრავალი

იშოვეს ჯარებმა და მოვიდა თბილისს, ქურთნიც ისევე მოვიდნენ ერევნის მამულში და თავისსავე

ადგილსა დადგნენ და აძლევდნენ ხარკსა მიერიდგან ველარ იკადრეს
განდგომად და იყვნენ
მოხარკეობასა ქვეშე მეფისა ირაკლისასა.
ქელსა ჩლო. ქკს ჟნწ-სა განიზრახა მეფემ ირაკლიმ ახალციხეზედ წასვლა,
ვინადთ
გან რუსნი და ოსმალნი აშლილნი იყვნენ, რუსეთის მხედრობა ბრძოდა
ოსმალთა საბერძნე
თის მხრისაკენ და საქართველოშიაც წარმოავლინა იმპერატრიცა ეკატერინამ
უძლეველი
მხედრობა მხედართ-მთავრობასა ქვეშე ლენერალ მაიორის ღრა ჭ
ტოტლებინისას, და ამის
წინას წელიწადში იყო მოსული და მდგომარებდა ჯარით ქცხინვალს და ეზრახა
მეფე
ირაკლი ამ ლენერალს ტოტლებენს შეითქვნენ და წარვიდნენ ახალციხეზედ
მივიდნენ და
პ-დ შემოადგნენ აწყვერსა და რამდენიმე დღე ადგნენ, ამაზედ შეიყარნენ
ოსმალნი და
დადისტნის კოხტა ბელადი, რომელიც მაშინ დიდად გამოჩენილი იყო, და ესეცა
დიდ
ის ჯარით ამ ოსმალთ ჯარში იმყოფებოდა შემწედ ოსმალთა მოვიდნენ
შემოეშველნენ
ოსმალთა აწყვერს და იყო მარადის ძლიერი ომი და დაუცხრომელად ფიცხელი
ცემა
თოფთა, ხოლო შთააგდეს შური ბოროტთა კაცთა და უზიდევდენ ღრაჭს
ტოტლებელს
ავსა სიტყვასა, და ამის ძლით შემოსწყრა ღრა ჭი იგი მეფის ირაკლის აიყარა
თავი
სის ჯარით და წამოვიდა, მივიდა ირაკლი მრავალს ეხვეწა; გარნა არა უსმინა და
ნებისაებრ თვისისა გამობრუნდა; ხ- დაადგრა მეფე ირაკლი მუნ და სთქვა
ესრეთ: უმ-
ჯობეს არს აქა სიკვდილი ჩემიო, ვიდრემდის ამათგან რუსებს ევნოსთ რამეო, და
მხი-
ლველნი ოსმალ ლეკნი გამობრუნებისათვის, რუსეთის მხედრობისა არა მცირედ
განძლიერ
დებოდნენ და გამოვიდნენ გაამაყებულნი და შეებნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი
და ფიცხელი.
ვიდრე სამს საათადმდე და ლეკნი და ოსმალნი უკუდგნენ სიმაგრეთა შინა და
რუსნიცა
ჩამოვიდნენ ხეობაში სამშვიდობოს ადგილს, და ამისა შ-დ მეფე ირაკლი აიყარა
მასვე
1-27 სტრ., 23
დღესა და წამოვიდა კახეთის მხრისაკენ მინდორზედ გამოვლო აწყვერიდამ
თორმეტი ვერსი
და მუნ დადგა მას ღამესა და გამოჰყვნენ ოსმალ ლეკნიცა ამას ღამესვე არჩივეს
ოსმალთა,

ცხენოსანნი კაცნი მოასწრნეს წინ და ასპინძის ხრამის პირი შეუკრეს, მოვიდა მეფე
ირაკლი ასპინძას და ასპინძის ხიდის ისრები ააყრევინა და მტკვარში
გარდაყარეს. ამ-
დროს ზოგნი ერთნი ქართველნის ჯარის კაცნი აყრილს სოფლებში საქონლის
საშოვნელად
წავიდნენ შემოუტივეს დამალულთა ოსმალის ჯარმა თავწვრილად დაფანტულს
თარეშის
კაცსა დაამარცხეს ეს ჩაფაურის კაცნი და მოჰყვნენ ხოცით ვიდრე მეფემან და
ამისა
მხილველნი მეფის ჯარნიცა შეიზარნენ, რომელნიცა მეფესთან იყვნენ და
დაიწყეს სილ-
ტოლვა და მეფე ირაკლიც მოჰყვა მცირედ და ევედრებოდა დაბრუნებასა, გარნა
ვერავის
ასმინა მცირედთაგან კიდე, დაუბრუნდა თავი მცირედითა კაცითა ეკვეთა
ძლიერად
ძალითა დ~ისათა და აოტნა ოსმალნი; მაშინ მხილველნი სპანიცა მეფისანი
მოიქცნენ
და დაუწყეს დევნა ლტოლვილთა ოსმალთა და მრავალი კაცი მოკლეს და
გამობრუნდნენ
გამარჯვებულნი, და ვიდრე ერთი საათი გამოვიდოდა უკანიდამ
გამოდგომილნი ოსმალ-
ლეკნი მოეწივნენ ვიდრე ათი ათასამდე და სპანი მეფისანი გზისა სიიწრომსა
მიზე-
ზითა აშლით და თავ წვლილად მოვიდოდეს დასტა დაუწყობელნი, ოდეს
იხილა მეფემ ირა-
კლიმ ეს ჯარები მოწევნილი, მაშინვე თვით მეფე ირაკლი გამობრუნდა,
რაოდენითმე
ჩინებულთა და შინა ყმითა თვისითა და შვიდითა ხევსურითა და ეკვეთა
ფიცხელად და განსწი-
რა თავი თვისი ვიდრე სიკვდიდმდე, და იყვნენ ყოველნი მეფისათანა მყოფნი
ქართველ-
კახნი მკნედ და უმეტეს შვიდნი იგი ხევსურნი, თუმცა თავადნი მრავალნი
სახელოვნად
გაისარჯნენ გარნა გავრცელებისათვის დავიდუმეთ და უკანანიცა ჯარნი
მეფისანი, რ~ლნიცა
იყვნენ გზის სიწროისაგან წარგრძელებული, რა სცნეს მეფისა ესე ვითარებაჲ
იგინიცა
შედგნენ და ვითნიმენიცა მამცნი კაცნი მობრუნდნენ მეფესთან და იქმნა
ბრძოლა
ძლიერი და თვით მეფემან ირაკლიმ მოკლა დადისტნის გამოჩენილი ბელადი
კოხტა და
ივლტოდენ ოსმალ-ლეკნი და მიჰყვნენ ქართველ კახნი და მრავალნი ოსმალ
ლეკნი

მოსწყვიტნეს და დახოცეს, და გაქცეულთა ოსმალ ლეკთა ასპინძის ხიდს მიმართეს და ქართველნიცა ჰსდევნიდენ ფიცხელად, ხიდის ფიცრები უწინარესვე აყრილი იყო და რომელ მაც ერთს ისარზედ სიკასკასითა თვისითა გასვლა ვერ შეიძლო მისგან ვიდრე ყველანი 1-28 სტრ., 24 დახოცნეს და მრავალნი წყალში შესცვიდნენ და იმითი მოიშთვნეს, ვინადგან მტკვარი, მაშინ გადიდებული იყო; ამისთვის ვერ-უძლეს მშვიდობით გან რინება მტკვრისაგან მრავალი იშოვეს ქართველ კახთა და მოვიდნენ თბილისს გამარჯვებულნი.

ჩელსა ჩლოა ქკს ჴნთ-სა მეფეს ირაკლისთან იყო ლვოვი ივან ლავრენტიჩი მინის-

ტრად წარმოვლენილი, ამან უთხრა მეფეს ირაკლის; ვინადგან თქვენსა და ღრა ჭ-ტოტლებელსა შორის შფოთი რამე არს ჩამოვარდნილი, თურომ ოსმალთ არ აეშლები და ერთსა რასმე სამსახურს არ დაანახვებ იმპერატრიცას ჳელმწიფა ეკატერინას, უთუოდ ღრა ჭი შეგასმენს და ეს ასე არ ვარგაო. ამისის ჳრჩევით განიგულა მეფემან ირაკლიმ აშლა ოსმალთა ზა და მოიბირა ერთი ბეგი ხერთვისისა შემოიყარა ჯარები მოვიდა საწი-

ნააღმდეგოდ ხონთქრისა და რაღ იც არის ჳლი ციხე საათაბეგოსი ხერთვისი დიდად გამაგრებული იყო აილო, მრავალი ხაზინა და ძვირფასნი ნივთნი გამოიტანა და თვისნი მეციხოვანენი შეაყენნა გარნა ლვოვმან ივან ლავრენტიჩმან არ ინება ციხის შენახვა სიტყვითა ამით, რაღ ესე საქმე რუსთ ჳელმწიფის ერთგულებად კმა არსო და ციხეში მცველთ კი ნულარ დააყენებო, ამისთვის, რომ არამც ხონთქრის ძალა მოვიდეს და ეს ციხე, რომ ძალად აგვართვან სირცხვილი იქნებაო, გამოიყვანა მეფემ ირაკლიმ-

მცველნი ხერთვისის ციხეში შეყენებულნი და მრავალი ტყვე და საქონელი გამოიტანეს და ძვირფასი ნივთები იშოვნეს, რომლებშიაც ესახლნენ მდიდარნი ხალხნი, და არს იგი ხერთვისი ქალაქი და ამის გამო აქვნდათ მრავალი სიმდიდრე. მეფე ირაკლი ჯარით ქართლში გადმოვიდა; გარნა სამაგიეროდ ხერთვისისა, გამოუსივა ახალციხის ფაშამ ოსმალისა და ლეკის ჯარი ქართლის მოსარბეველად, იმ დროს მეფე ირაკლი ცხინვალს იდგა, და ეს ჯარი რომ სოფელს ხვითს მოუხდა ამ ზემოს მინდორზედ ჩაფარი გამოუშვეს მოასწრო ჩქარად მეფემ ირაკლიმ სამთავისის მინდორში და დაამა-

რცხა ოსმალ ლეკნი და მრავალნი დახოცნეს და ლტოლვილნი ოსმალ ლეკნი ავიდნენ ახალ-
ციხეს; ხ~ ამა საქმეზედ გაიერთა ახალციხის ფაშამ ლეკნი მოიყვანა დაღისტნის
ჯარები და აოხრებდნენ ავაზაკებრ ქართლსა და იყო მარადის ქართლსა შ~ა
მათგან დაუ-
ცხრომელი ჰრბევა; თუმცა მეფემან ირაკლიმ არა მისცა თავსა თვისსა განსვენება.
და მრავალ-გზის დაამარცხნა ლეკნი, გარნა იგინი არა დასცხრნენ და ესე
ყოველივე
აცნობა ლვოვმან ივან ლავრენტიჩმან იმპერატრიცას კელმწიფა ეკატერინასა.
1-27 სტრ., 25

ქელსა ჩლობ, ქ~კსა ჟდ~ს, კვალად უთხრა ლვოვმან ივან ლავრენტი ჩმა მეფეს
ირაკ-
ლის ერთხელ კიდევ დაჰკარ ხონთქრის მამულსაო, რომ შენს ერთგულებაზედ
გული
დააჯეროსო. ამა საქმესა ზედა მეფე ირაკლი ეზრახა იმერეთის მეფეს
სოლომონს, შეკრბენ
ორნივე მეფენი სურამის ბოლოს გარდავლეს მთა საციციანოსი მივიდნენ და
ჯავახეთს
ახალ ქალაქს შემოადგნენ და ძლიერად შაჭირვეს ვიდრე აღებადმდე, გარნა მას
ჟამსა მეფე
იმერეთისა სოლომონ ფ~დ ავათ გახდა საოფლით, რ~ლ სიკვდილადმდე
მიახლოვდა, ამისთვის
ინებეს წამოყვანება მეფის სოლომონისა გაუკეთეს შოაშა აიყარნენ იმერნი და
წარმოი-
ყვანეს მეფე სოლომონ და მეფე ირაკლიცა შემოეცალა ციხესა ახალქალაქისასა,
და მოარ
ბივნეს მამულნი ახალ ციხისანი არტაანი და ჯავახეთი მრავალი ტყვე და
საქონელი
იშოვეს და წარვიდნენ, ხ~ ესეცა მისწერა ლვოვმან ივან ლავრენტიჩმან
იმპერატრი-
ცა კელმწიფა ეკატერინასა და აცნობა ერთგულება მეფის ირაკლისა და მეფის
სოლომო
ნისა, შ~დ ამისსა იმპერატრიცა ეკატერინამაც წარმოავლინა ლენერალ მაიორი
სუხო
ტინი და დაიბარა რენერალ მაიორი ტოტლებინი. ამისა შ~დ მიესმა ესე
ყოველივე მეფისა
ირაკლისაგან ნამოქმედარი ხონთქარს და განძვინდა ირაკლისა ზ~ა, და მოსცა
აზრუ-
მს აქეთი სულეიმან ფაშას და წარმოუგზავნა ხაზინა, რ~ა განამრავლოს ჯარები
და დაე-
მტეროს მეფის ირაკლის და ქართლისა; ხ~ მან გაგზავნა საგანძური ძალი
დაღისტანსა
და გამოიყვანა დაღისტნის ჯარები და მიიყვანა ახალციხესა დაიწყო ავაზაკების
ჰრბევა

ქართლისა და იმპერატრიცა ეკატერინემაც მიიქცია მხედრობა თვისი რუსეთად,
მიზე
ზითა ამით, რ~ლ ზავ ჰყო ხონთქარსათანა, და საქართველოცა დარჩა
მფარველობასა
ქვეშე რუსეთის იმპერატორისასა, გარნა არა დასცხრა სულეიმან ფაშა
ბრძანებითა
ხონთქრისათა და იყო მარადის ტყვევნა ოხრებასა შინა ავაზაკებრ და ჯარადცა
წარ-
მოავინა ერთი პირი ჯარი ზემო ქართლისა მოარბიეს ზემო ქართლი და
მივიდნენ უფლის
ციხესა, ამ ჟამად კახეთის ჯარები იმყოფებოდა ქართლში და მოეწივნენ
ქართველ-
კახნი შეიბნენ გარნა იძლივნენ ქართველ-კახნი ოსმალთაგან და მრავალნი მოსწ-
ყვიტნეს. ხ~ ამის მეორესა დღესა ქალაქის პირს გამოუშვეს თარეში ოსმალ
ლეკთა,
გავიდა მეფე ირაკლი შეება და მრავალნი ოსმალ ლეკნი დახოცეს და სადაცა
გაიმარჯვა
მუნვე გარდახდა დამაშვრალი ომისაგან განსვენებად, გარნა მოუვიდა ამ ჟამად
ამბავი
1-28 სტრ., 26
უფლის ციხეს თქვენი ჯარი დაამარცხესო, რომლისთვისაც ფ~დ მწუხარე იქმნა.
ამავე
განძლიერდა ქარიმხან, და სცნა მეფის ირაკლისაგან მორჩილება რუსეთის
იმპერატო-
რისა და ქვეშე საფარველისა მისისა შესვლა, განძვინდა ამისთვის; ვინათგან
იყვნენ მრავალნი
მოშურნენი მეფის ირაკლისანი ადრი ბეჯანის ხანები და სხვანიცა აბეზრებდნენ
მეფეს
ირაკლისა ქარიმხანსათანა, რომლისათვისაც შეჰკრიბნა ჯარნი ერანელნი და
მოვიდა თავრი
ზსა, და რა სცნა მეფემ ირაკლიმ მომავლობა ქარიმ ხანისა არა მცირედ მწუხარე
იქმნა მისთვის, ვინაფთგან იმედუღელმან რუსეთის მართველობისამან არა რიდა
ბრძოლად ხონთქარსა და არცარა მორჩილებად მოადგილესა ყაენისასა, და ამ
ჟამზედ
დაბარებულ-იყო მფარველობა და მხედრობა რუსეთისა; გარნა გამბედავმან და
გამოცდილმან მეფემან ირაკლიმ წარგზავნა ორნი სანდონი გვამნი კარის კაცნი
თვსნი თავადნი ენდრონიკაშვილი ქაიხოსრო, მდივანბეგი და თავადი თარხანის
შვილი
ხახა ყორ იასაულ ბაში, რლ~ნიცა წარავლინა დესპანად და აცნობა ყოველივე
ერთ
გულება და მწნეობა თვისი ვ~ა ბრძო[ლა]და ოსმალთა და აქვნდა ოსმალთაგან
შეწუხე
ბად, ხ~ მივიდნენ რ ესე წარგზავნილნი თავადნი თავრიზს ქარიმხანთან, რლ~იცა
ლამოდა

წამოსვლად და ბრძოლად მეფისა ირაკლისა; მაშინ მისულთა ამა თავადთა მრავლითა ლა-
 პარაკითა და ღონის ძიებითა ვითარცა აქუნდათ დაბარებული მეფის ირაკლისაგან, ეგრეთ მოამშვიდეს ქარიმხან და გაბრუნდა უკანვე თავრიზიდამ, და ესრეთ განერა მეორესა მძლავრსა მეფემან ირაკლიმ, გარნა არა დამშვიდდა ახალ-ციხისა ფაშა სულეიმან და ბრძოდა მარადის ლეკის ჯარითა, ქართლს მოვიდნენ უგრძნეულად და ქრცხინვალი წაახდინეს, რაც ციხეს გარეთ ხალხი იყო სულ დაატყვევეს ვიდრე ექვსასადმდე და ოსიაურის ციხეც აიღეს, და იქმნა ესე ყოველი ბოროტი შემთხვეულება მიზეზითა ამით, რლ~მანცა ურ- ჩივა აშლად ოსმალთა, და არა ჰყვანდა შემწე, რლ~ისა გამო არა ერთგვის მიეცნენ მწუხარე- ბანი, გარნა სიმხნითა თვისითა ვერა რომელმანმე მძლავრმან დაიმორჩილა მეფე ირაკლი, და ფლობდაცა თავისუფლებითა მარადის და ებრძოდა ოსმალთა და ლეკთა, ვინადთგან ბრძოდა მძლავრი ვინმე ჳელმწიფე და არა აქუნდა პირდაპირი ძალი, არცა ჯარითა და არცა ხაზინითა თვინიერ სიმხნითა, არა რაჲ აქვნდა პირდაპირი თანასწორება, მაშინ ფრიადის ღონის- ძიებითა და შრომითა ეძება მამულსა თვისსა მიწა ოქროსა და ვეცხლისა, რომელიცა იპოვნა სომხეთის მამულთა შ~ს ახატალას, რომელი არს მამულობით თავადთა სომხეთის მელიქისათა, 1-29 სტრ., 27 და მოიყვანნაცა საბერძნეთით ბერძენნი და მცოდნენი მადნისა და დამადნობელნი ოქროსა და ვეც- ხლის მიწისანი, და ვითარცა დაიწყო მადნისა მის მუშაობა და ისარგებლა მით ფ~დ, ამავე ჟამსა და დროსა ამ მადნების ძებნისასა ჩამოვიდა თვით სულეიმან ფაშა დიდის ჯარითა და შემოა- დგა ქარელის ციხესა ერთი დღე და ერთი ღამე ადგა, მეორეს დღეს მოუტანეს ამბავი, რ~ლ მეფე ირაკლი წამოვიდა შენზედაო აიყარა და წავიდა ვ~ა მეოტი, გარნა იყო მარადის ტყვენვა ოხრებასა შ~ა ქართლისასა ავაზაკებრ რავდენსამე წელსა კვალად მოუვიდა მეფეს ირაკლის რ~ლ დაღისტნის ჯარი შეუყრია ფრუდალ-ბელადს და არაზანს გამოვიდაო; ამისთვის წავიდა მეფე ირაკლი და სანგრის გზა შეუკრა დახვდა ღამე და დიდად დაამარცხა. - კვალად იმყოფე

ზოდა მეფე ირაკლი ქიზიყს, გამოვიდნენ ჭარელნი და გამოუშვეს თარეში,
 გამოუხდა მეფე ირა-
 კლი თავისის ამალით და მდევრით ძლიერად დაამარცხა ქარელნი; ხ~ ესე
 ვითარნი გამარჯვე
 ბანი მეფის ირაკლისაგან უანგარიშონი იქმნებიან, და ყოველნივე ვერა
 მოვიხსენეთ, ხ~ იგი აღვ
 რიცხეთ, რომელი ღირსად ხსოვნისა იყო, და მრავალი წვრილი გამარჯვებები
 დავიდუმეთ, კვალად
 ცა არა დასცხრებოდა ფაშა ახალ ციხისა სულეიმან და მარადის აბეზლებდა
 ხვანთქართან
 მეფესა ირაკლის, რომლისაგამო სარგებლობდა ძლიერად ხაზინის მოტანითა;
 და აგრევე საქარ-
 თველოს ჰრბევითაცა; გარნა დარწმუნებულ-იყო ხონთქარი, რ~ლ ფ~დ შეაწუხნა
 მეფემ ირა-
 კლიმ მამულნი ხონთქრისანი, და ამისთვის წარავლინა ელჩი თვისი
 ხონთქარმან ერანის
 მე პატრონის ქარიმხანისადმი და შეუთვალა ესრედ: „ თუმცა ჩვენსა და თქვენში
 არის
 მშვიდობა, და ზავ გვიყოფიეს; გარნა აგიშვიათ ერთი ლომი საქართველოს ვალი
 მეფე ირა-
 კლი და აოხრებს მარადის ქვეყანასა ჩემსა, და ამის გამო იხარჯვიან ჩვენგან არა
 მცირედ
 ნი ხაზინანი; რომლისათვისაც მაქჟს მეგობრობა განცხადებისადმი თქვენისა,
 რათა დააყე
 ნოთ იგი ესე ვითარისა მძლავრებისაგანო: „ მსმნელი ამისი ქარიმხან ეტყოდა
 ვეზირთა.
 თვისთა და ადრიბეჟანის ხანებთა , რლ~ნიც აბეზლებდნენ მეფესა ირაკლის: „
 შეხედეთ მეფესა
 ირაკლის, მე მეფე ირაკლი, როგორ არ უნდა მიყჳარდესო, რაც ჩემთვის
 უმსახურნია იმას
 გარდა ეს უმეტესი ჩემი დიდება არისო, რომ ხონთქარი დააჩოქა და ჩემთან
 აჩივლებსო,
 ამისთანა კაცი ერანის ჳელმწიფისაგან დიდად პატივ საცემელი არისო;
 რომლისათვისაც
 განუახლა სიყჳარული და მოსწერა წიგნი მეფესა ირაკლის ქარიმხანმა და
 წარმოუგზავნა
 ხმალი და ცხენი ოქროს იარაღით აღკაზმული. შ~დ ამისა გაგზავნა მეფემან
 ირაკლი
 ხონთქრის კარზედ ელჩი, სომეხი ვინმე გურგინა ყარაბაღიდან მოსული, გარნა
 მრავალთა
 ენათა მცოდნე და ჳკუით გონიერი, რომელიცა მოვიდა სტამბოლს, და ყოველივე
 დაბარებული
 1-28 სტრ., 28
 მეფისა ირაკლისაგან განუცხადა ვეზირსა ხონთქრისასა, რლ~ანცა დიდად
 პატივით მიიღო და დი

დიად პატივსცა, თუმცა აქუნდაცა წყენა მრავალი მეფისა ირაკლისაგან; გარნა დიდად მხიარულ-იქმნა ვეზირი იგი მისვლისათვის მეფის ირაკლის ელჩისა; ვინაფთვან ცნობილ იყო მეფე ირაკლი ფ~დ წინა აღმდეგად ყ~თა საბრძანებელთა შ~ს, და ამისგამო ესე ვითარითა სიტყვითა შეიწყნარეს, რ~ლ უმეტესისა წადილი აღიარა ჰქონდა ელჩსა მეფისა ირაკლისასა, აჩუქეს მრავალი, წარმოუვლინეს დესპანი, გამოუგზავნეს ცხენი მშვენიერითა აღკაზმუ ლებითა და ძვირფასი ქურქი, და გარდა ამისა, რ~ლნიც უწინარეს მისსა დატყვევებულნი ხალხნი ახალ ციხეს იმყოფებოდნენ, რაოდენნიმე თავადთა გვამნი ცოლშვილით და სხვანიცა მდაბიონი ხალხნი, რლ~ნიც ქრცხინვალიდან წაყვანილ-იყვნენ და ანუ სხვა თა სოფლებთაგან ახალციხეს ისინი ყოველნივე განათავისუფლნეს, და მოუწერეს სულეიმან ფაშას განთავისუფლება მათი და მშვიდობა ურთიერთისადმი, და მოიყვა ნნეს იგი ტყვენი თბილისად, და რომლნიც ჰყვანდა ფაშას ჯარად დაღისტნელნი იგინიცა დაითხოვა მამულისაგან თვისისა ფაშამ; გარნა ჩვეულები იგი ლეკნი არა დასცხრებოდნენ და ეგრეთვე მეცადინეობდნენ ჰრბევასა ქართლისასა; გარნა მოსცა ლ~თნ მეფესა ირაკლის ძე ერთი სახელით ლეონ, რლ~იცა ემსგავსა მამასა თვისსა სიმხნითა და მან მრავალგზის შემუსრნა ლეკნი და მოსპო ლეკთაგან ხშირად ჰრბევა ქართლისა, და ეგრეთვე განაწესა მეფემან ირაკლიმ მორიგე ქართლ კახეთი[ს]დამ, რლ~მანცა დიდად ისარგებლა, და იყო მარადის სამი ათასამდინ განმზადებული ჯარი თავადნი აზნაურნი და გლეხნი, და ამას თანაცა თვით და მენიცა თვისნი ყოველნივე თვითოსა თვესა გარდაიხდიდნენ, და სადაცა იყო ლეკთაგან საფი ქრო აღგილნი მუნ მდგომარეობდნენ, რლ~ისაგან დიდად შეშინდნენ ლეკნი და კვა- ლადცა შეირიგნა დაღისტნისა პლ~ნი ბელადნი და თვთონ ომარხან და მისცნა ჯამაგირნი, რაოდენ ძალ- ედვა და ამას დროსა ფ~დ დამშვიდებული იყო ქართლი, და კახეთი, როგორათაც იყო შენობა აღობრებულთა ადგილებთა შორის საქართველოდსათა, და მრავალნი სოფელნი აშენდნენ ქართლსა, კახეთსა და სომხითსა შინა.

ჩელსა ჩღვ. ქ~კსა ჟ~დ ვ. ერევნის ხანი ასან ალი -ხან უკუდგა და არღარა მოსცა ხარკი მეფეს ირაკლის, რომლისათვისაც წარგზავნა თავადი თარხანის შვილი ყორიასაულ ბაში

1-27 სტრ., 29

ზაზა და განუახლა ყოველი შრომა თვისი, და სისხლ დათხეულობა ქართლ-კახეთისა ერევანი
სათვის, და თვით იმ ასანალი ხანისად ხანობის მიცემა, თუ როგორ მისცა მას ხანობა ერე
ვნისა მეფემან ირაკლიმ; თუცა ესე ყოველნივე ყოფილნი საქმენი განუცხადნა მას ხანსა
გარნა მან არა უსმინა; ვინადგან აქუნდა მას შემატებული ძალი რადმე განმრავლებითა
ყმისა და სიმდიდრისათა, და შემოეთვალნა სიტყვანი მეტად მკვახენი მეფისა ირაკლისათვის,
რომლისათვისაც მეფემან ირაკლიმ უბრძანა მაშინვე მოწვევად ლაშქრისა ქართლ-კახეთისა
და ლეკიც მოიწვია ჯარად, რაოდენნიმე ათასნი და წავიდა მასვე თთვესა აგვისტოსა მოვიდა
და დადგა შირაბათს სოფელში, რღ~იც შორავს ერევანსა ვიდრე არს აღაჯადმდე, და დაიწყო
ჯარმან ჰრბევა ერევნის მამულისა და მოაოხრეს ყ~ი მამული ერევნისა, და აღარსად დარჩა
შენობა თვინიერ ერევნისა და ეჩმიაძინისა, და ამასვე დროსა დამორჩილებულ-იყვენე მე-
ფის ირაკლისადმი განჯა-ყარაბალი და მოერთვნენ იქიდანაც ჯარები რაოდენნიმე ათასი,
და ერევნის ლტოლვილნი წამოსულ-იყვენენ ბაიზეთის მამულში, რ~ლ არს სამფლობელო
ხონთქრისა, სადაცა წავიდნენ ქართლისა და კახეთისა თავად-აზნაურნი და ჯარნი და მოარ-
ბივეს ს~დ მამული ბაიაზეთისა, მრავალი ტყვე და საქონელი წარმოიყვანეს და თუმცა
მოეწივნენ ქურთნი; გარნა იგინიცა და ამარცხეს და შეურაცხ ჰყვეს, და ყოველნივე ადრი-
ბეჟანისა ხანები დაემორჩილნენ მეფესა ირაკლის, და მოუვიდნენ ელჩნი და ფეშქაშნი
მვირფასნი თავრიზის ხანისა, ხოის ხანისა; ურუმის ხანისა, შაყაჰყის ხანისა მარალის ხანისა,
ბაიაზეთის ფაშისა, და ყარსის ფაშისა; და ეგრეთვე მოერთვა ერევნის
მამულში მდგომი შამდინ არა ქურდი ძლიერი კაცი, და მრავალთ ქურთთ მეპატრონე,
და მოსცა თავი თვისი ყმად; გარდა ამისსა შორაგლის სულტანი ყ[მ]არამან მოვიდა და მოერთვა
ყმად ყოვლითა შარგლის ხალხით და მამულითა; და ესოდენ განძლიერდა ერევანს
ყოფისა ჟამსა მეფე ირაკლი, რ~ლ ელოდნენ ერანელნი უთუოდ გახელმწიფდება და ერ-
ნის ნაწილებსაც დაიჭერსო, ვინადგან ჰქონდათ ცნობა მისი ნადირშაჰსთან მყოფთა

და ესმოდათ მარადის სიმხნე, და ვერცა ვის ხედავდენ მოპირდაპირესა მეფის
ირაკლისასა,
ამისთვის დიდად ფიქრობდნენ და ელოდნენ ყოველთვის, რომ ერანისაკენ
წამოვაო, ესე ოდენთა
მიზეზთა გამო დიდად შეამჭიდროვეს ერევანი და იხვეწებოდა შერიგებასა; ხ[~]
ერთსა დღესა,
წავიდა ბატონის შვილი გიორგი ძე ირაკლი მეფისა, რ[~]ა გარდახედოს ერევნისა
ციხესა
1-26 სტრ., 30
ერევნისასა; მაშინ იხილეს რა მცირე ცხენოსანნი მახლობლად მისულნი
ერევნელთა გამოვიდნენ
იგინიცა შეხვეწნის უიმედონი, და დიდითა შემჭიდრებითა თავ გაწირული
ეკვეთნენ სავნე
ბელად ამა ბატონის შვილს გიორგის და შეექნათ ომი და რადგან ესე ერევნელნი
უფრო მახლობელ
იყვნენ ციხისა; ამისთვის არა მცირედ შეაწუხეს ბატონის შვილი გიორგი ომითა
და ბატონის
შვილმან გიორგიმ აცნობა მამასა თვისსა და სთხოვა ჯარი შემწედ, გარნა ჯარნი
მეფის
ირაკლისანი უმეტესნი წასულ იყვნენ ჩაფაულად და რაოდენნიცა
იმყოფებოდნენ უბრძა-
ნა მიშველება ძესა თვისსა ლევანს და სპათაცა და ეგრეთვე ამხედრდა თვით
მეფე ირაკლიცა
და სარდალნი მისნი მიმართეს ბრძოლასა მას და ერევნიდამაც გამოვიდნენ
რაოდენნიც
იმყოფებოდნენ მეომარნი და შეიქმნა ბრძოლა ძლიერი, ვიდრე სამს საათადმდე,
თუმცა
ვერ შემძლებელ იყვნენ, ესოდენ ჟამ პირდაპირ გასწორებასა ომისასა; გარნა
აქვნდათ ერევ
ნელთა ფრიადნი სიმაგრენი კედლებთა და კლდეთანი და ჰყვანდაცა ლეკნი
მეომრად
ხანსა ერევნისასა და გამაგრდნენ მისგანი; ხ[~] მხილველი ამისი მეფე ირაკლი
განრისხდებოდა
ვითა თხათა ზ[~]ა ლომი, და ამ დროს მცნობელმან ვინმე ერევნის ციხიდან
ესროლა პირდა-
პირ ზარბაზანი მეფეს ირაკლის და წინა მდებარესა კლდესა მოხვდა, რომელიც
განერა
ფ[~]დ განსაკვირვოდ, და შ[~]დ ამისსა სძლივა მეფემ ირაკლიმ და დაამარცხნა
იგინი და მოსპო
ყ[~]ი ძალი ერევნისა, მრავალი კაცი მოკლეს და მრავალნი ცოცხალნი შეიპყრნეს,
და მისცა
ბრძანება სპათა თვისთა; რათა მიჰყონ ხელი თვითოეულმან კაცმან სახლი
გააკეთონ
და დაიზამთრონ მუნ. მსმენელნი ამისნი ფ[~]დ შეშინებულ-იქმნენ, და
შემოევედრა

ერევნის ხანი და დაიდვა ხარკივე ოთხი ათას თუმნადმდე გარდაკვეთით, და უმეტესი სხვადა ფეშქაშნი შესამატნი მოერთმეოდეს; გარნა არა დართო ნება ჯერეთ მეფე მან ირაკლიმ; და მუნ მყოფობასა მისსა, ჩამოვიდა წიგნი ქართლიდამ, რომ მოვიდა ბაქარ მეფის შვილი ალექსანდრე იმერეთისა და მეცადინობს, რა ვიეთნიმე ქართველნი მოატყუის და მიიმხროს, თუმცა არა სარწმუნო იქმნა; გარნა ურჩივეს ვიეთთამე ვეზირთა, და უმეტესად თბილისიდამ დაუწყეს წიგნის წერა, რომ მოეშველე ქართლსა, თორემ საქართველო აირივას, და ამის მიზეზით გამობრუნდა ერევნიდამ; მესამე დღეს აჰყარა ერევნიდამ მრავალნი მეკომურნი სომეხნი და მოიყვანნა საქართველოში, რომელნიც 1-24 სტრ., 31 დღესაც მდგომარეობენ, რაოდენსამე ადგილსა და სხვა ტყვე და საქონელი ურიცხვი იშოვნა ჯარმან, მრავალი თეთრი მართო ორქევატერმან, და ზემოხსენებული რიცხვი თეთრისა დასდვა ერე ვანსა ხარკად, ესე იგი: წელიწადში ოთხი ათასი თუმანი, ში დ განაწესა მოურავიცა თვისი სიძე მუხრანის ბატონი იოანე კოსტანტინეს ძე და იყო ერევანი მოხარკეობასა ში მეფის ირაკლისასა ვიდრე მოსვლადმდე ყაჯარი აღამამად ხანისა. ში დ რაოდენსამე წლისა კი დ იძია შური სულე-იმან ფაშამან და იწყო ჩუმათ საქმობა შუშის ხანთან და დაღისტანში ომარხანთან და ეგრეთვე ასტეხნა ლეკნი მარბეველად ქართლისა დაფარვით, რლიცა მართლობდა თავსა თვისსა მეფეს ირაკლისათან; ვითამცა არ იყოს ნება მისი ოდეს ლეკნი ახალციხის მხრიდგან ავაზაკობდნენ, და ჟამსა ამას მოიწია უბედურებაჲ და გარდაიცვალა ძე მეფისა ირაკლისა ლევან, და ოდეს მიესმა ახალციხის ფაშასა სულეიმანს ესე ამბავი; მაშინ ჰსთქვა ფაშამან მოხუცებულებისა ჟამსა მეფისა ირაკლისასა, ერთი ფარდა ჰქონდა საქართველოს, რომელიცა ოთხსავე კუთხეს დაიფარევდაო, და აწ დიდი შემწე მოეშალა მეფესა ირაკლისაო, ჰსთქვა ესე და უმეტესად განიგულა აოხრება ქართლისა. – მაშინ მეფე ირაკლი ფი დ მგლოვარე მისა თვისისა ლეონისათვის დამცხრალ იყო ომობისაგან, და არღარა ნებავდა ლაშქრობა არცა ერთისა მხარეს, და ასტყდნენ ლეკნი ახალციხის მხრიდამ ასაოხრებლად ქართლისა. ამისა ში დ ჰსცნეს დიდმან ჯელმწიფემან რუსეთისამან იმპერატრიცამ ეკატი-

რინამ, წინასწარნი ქმნილნი და შემდგომნიცა ახალციხის ფაშისაგან, ესე იგი საქართველოს რბევა და ოხრებანი, რ~ლისათვის წარმოავლინა მეფეს ირაკლისთან მინისტრად პოლკოვნიკი და ორი ბატალიონი მხედრობა თვისი; გარნა უმეტესად განძვინდა სულეიმან ფაშა, და შეჰქმნეს სხვათა ადრიბეჟანის ხანებთაცა შიშვნეულება; რუსეთის მხედრობისაგამო, ვინაჲთ- გან მარადის აქვდათ რიდი მეფის ირაკლისაგან, და უმეტესად განიგულეს მაშინ დაპყრობა თავისი ძალითა რუსეთის მხედრობისათა, და ამის გამო შეექმნათ ურთიერთისადმი დაფარვით დინ თა- სლიბისაჲ იან ჯმობა. ხ~ ამას ჟამსა ეპყრა- საყმოდ განჯა და ყ~ი მამული მისი მეფესა. ირაკლის; ა~დ აქუნდა ფრიადი მეგობრობა შუშის ხანთან, და ერთი ამისი კაცი და ერთი მეფისა 1-26 სტრ., 32 ირაკლისა განაგებდნენ ქალაქსა განჯისასა, რომელიცა ზემო ხსენებულისა ფიქრის და შუ რისაგამო გამოაძეს მუნ მყოფი იგი მეფის ირაკლის კაცი თავადი ენდრონიკოვი ქაიხოს- რო მდივან ბეგი და შეიყვანეს იგივე მემკვიდრე განჯის ჯავთ ხან, ამასვე ხანსა სულეიმან ფაშამ მოუწოდა დაღისტნის ომარ ხანს ხუნძახის ბატონს მან შემოი ყარა დაღისტნის ჯარი და ეგრეთვე ჭარელნი ვიდრე ოცი ათასამდე და მოვიდა ურდო ზედ, რ~ლ არს ალაზნის პირი, და მივიდა მეფე ირაკლიცა რუსეთის მხედრობითა ქიზი- ეს და დადგა სიღნაღს, რ~ლ ხუნძახის ბატონი სიღნაღზედ მისვლას აპირებდა და მუნ მიელოდა მეფე ირაკლი, გარნა იგი აიყარა უგრძნეულად ამოვლო ჭირხლის ხევი ამოვიდა დედოფლის წყაროზედ და გარდვიდა იორზედ, მცნობელი ამისი მეფე ირაკლი გამოუდგა მსწრაფლად რუსის მხედრობით, გარნა ველარ ეწვია, მივიდა ახტა ლის მადანში ომარხან, აიღო ციხე ახტალისა ალაოხრა მადანი და დაატყვევა ყ~ნი მუნ მყოფნი ბერძენნი და ქართველ სომეხნი და აღვიდა ახალციხის ფაშასთან რაოდენსამე ხანსა იქ განუსვენა სულეიმან ფაშამ წარმოუმძღვარა კაცნი და გამოისტუმრა ხუნძახის ბატონი ჯარით სააბაშიოში და ვახანის ციხეს შემოადგა აქაც მიეშველა მეფე ირაკლი თავისის ჯარით და რუსეთის მხედრობით მიბრძანდა სურამს, გარნა ვერა დაამტკიცეს მისვლა ვახანს და მიშველება მათი, ვინაჲთგან არა იყო ადგილი მარჯვე, რ~ა რეგული მოხმარებულ-იყო და აიღეს ციხე ვახანისა და მრავალი სული დაატყვევეს და თავადნი აბაშიძენი მათითა ცოლშვილითა და სიმ-

დიდრიტა და ყ~ითა საგანძურითა დააცალიერეს, და უკუნ-იქცა ომარხან მუნვე ახალ ციხეს სულეიძან ფაშასთან, მას ზამთარსა იქ სადგურა და მეორეს ზამთრის პირსა შემოდგომაზედ გამოისტუმრა, გარნა ვერღარა იკადნიერეს ჩამოვლა ქართლზედ, ა~დ განვლო მთანი და ჩავიდა ყარაბაღში იბრეიმ ხანთან, და შ~დ

ამისსა მეფე ირაკლიც წარვიდა განჯას და ეგრეთვე რუსეთის მხედრობაც თან წაიყვანა, ვინაფთგან ამასვე წელსა გაქცეულ-იყვნენ საქართველოს ელნი ყაზახისა და შამ შადილოსანი და იმყოფებოდნენ განჯა ყარაბაღსა შინა. და ყარაბაღიდანაც გამოიქცნენ მელიქნი იბრეიმ ხანისანი სომეხნი ფრიად მდი 1-22 სტრ., 33

დარნი და განძლიერებულნი ყმითა და ციხე სიმაგრითა, რომელნიც მოვიდნენ მეფეს

ირაკლისთან და სთხოვეს შეწევნა რომ მისცეს ჯარი და აჰყარონ ყოველი საყმო თვისი; ამისთვის წარგზავნა ძე თვისი იულონ და გაატანა სარდალნი და სპანი საქარ

თველოსანი, მივიდნენ მამულსა ყარაბაღისასა. იქიდანაც მოეგება ჯარი და სარდა

ლი იბრეიმ ხანისა შეიბნენ ღამე და დაამარცხეს ჯარი იბრეიმ-ხანისა, და მოინებეს აყრა მელიქებისა; გარნა ჟამსა ამას განუცხადა მისნისტრმან ბურნა შოვმან პოლკოვნიკმა, რომ ბრძანება მომივიდა დღესვე უნდა გავბრუნდეო, და თუ

მცა სთხოვა მოცდა მეფემ ირაკლიმ; გარნა არა ინება პოლკოვნიკმა და გამობრუნდა განჯიდან და მეფეცა მათ თანა; ხ~ ამასვე ჟამსა თანჯმობისათვის იბრაიმ ხანისა ჩამოვიდა ომარხან ჭარში დაღისტნის ჯარით და მეფე ირაკლიც მიბრძანდა ქიზიყს; ხ~ რუსეთის მხედრობა მოვიდა თბილისს და წარვიდნენ რუსეთს, და რაოდენსამე ხანსა ჭარში დარჩა ომარხან გარნა ვერღარა იკადრა მოსვლა ქიზიყზედ, ა~დ გაბრუნდა და შამახიას შემოადგა.

ღ~ მეფობასა ამისსა, რომელნიცა დავსწერენ ძლევენი სახელდობრ ვჰგონებ ოცდა ათამდინ უმეტესიცა მიეღოს: გარდა ამისსა ჰყვანდა სიცოცხელსათვის სა მოხარკეობასა ქვეშე: განჯა, ყარაბაღი და ერევანი, და მსახურებდნენ შესაბამითა ვალდებულებითა; ვიდრე მოსვლადმდე ყაჯარი აღა მამად ხანისა. მეფობასა

ამა ირაკლისასა აშენდნენ სიმაგრენი ქართლ-კახეთისანი ვიდრე არს სამოცადმდე

გალავანნი და ბურჯნი და მტერთა თვის.

წა თვით მეფემან ირაკლიმ განაახლა ციხე[წა], გორისა, გალავანი სიღნაღისა, თელავისა, ბოჭორმისა ჭოეთისა, გალავანნი: სევირელისა, სუბისა, ერემისა თედისა, პატარძეულისა, და ნორიოსი; ხოლო შრომანი და ღვაწლნი 1-10 სტრ., 34

მეფის ირაკლისანი არა ადვილ შესაძლებელ იყო აღწერად, ად რაოდენ ძალ მედვა სმენითა და მეხსიერებითა სარწმუნოთა კაცთაგან აღვსწერე, რ~ლი მოიწია მას ზედა ჟამსა მოხუცებულებისა მისისასა უბედურებით, მოვიდა აღამამად ხან და ალაოხრა თბილისი და მისთვის არა რაჲ დამიწერიეს ჯერეთ ვინაფთგან მიზეზნი და ვითარებანი განვრცელდებოდნენ.

აღნიშნული ყაჯარი აღამამად ხან მოვიდა თბილისს და მოაოხრა იგი

ია - სეკდემბერსა ჩღ ჟვ. ხ~ ქართულსა ქ~კსა ჟ~პ გ.
მეფე ერეკლე .ბ. გარადიცვალა ქალაქს თელავს სამეფოს პალატში. იან
ვრის ია. ჩღ ჟწ. წელსა, საიდამაც წარიღეს და დაფლეს მცხეთას. და მის
წილ გამეფდა მასვე ჟამსა ძე მისი გიორგი იგ~ე.